სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 23 ივნისი 2000 №118 (1140) | ფასი 50 თეთრი

# იყო, არის და იქნება

## ეკამათეთ კრუიფს და ფოგტსს

### ჰოლანდიელის აზრით, ფეხბურთი ტექნიკურად ჩამორჩა, გერმანელს კი ესპანეთ — იუგოსლავიის მატჩის დარი არაფერი უნახავს

UEFA EURO 2000



ილია გაბუნაშვილი
ბრიუსელიდან

— რატომ მოხდა ისე, რომ ევრო 2000-ის მეოთხედფინალში გასული რვა გუნდიდან შვიდი ლათინურია და მხოლოდ ერთი, ჰოლანდიაღა დარჩა ჩრდილოეთიდან? — ჰკითხეს იოჰან კრუიფს.

— იცით, ჰოლანდია შესაძლოა გეოგრაფიულად უფრო ჩრდილოეთია, მაგრამ ლათინურის მსგავს ფეხბურთს თამაშობს, უყვარს ბურთის კონტროლი და ასე შემდეგ. ამიტომ მეოთხედფინალისტებს მე ასე არ დავყოფდი — უპასუხა ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ და დიდებულმა მწვრთნელმა.

თემა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თავისუფალია და მასზე არ შევჩერდებით. აი, ჩემპიონატს შემორჩენილ გუნდებზე კი ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

მაშ ასე, ევრო 2000-ის პირველი, ჯგუფური ეტაპი გასრულდა. თექვსმეტი მონაწილიდან ნახევარი უკვე შინაა, ნახევარი კი მომავალს იმედით შეჰყურებს. გავარდნილთა შორის, თუ გამოთქმას ინგლისელებს დავესესხებით, არიან დიდი ბიჭები, თავად ინგლისი და გერმანია. მათვე მიყვნენ ჩვენი, მეორე შესარჩევი ჯგუფიდან გასული, უკიდურესად დაცვითი თამაშისთვის სერიოზულად გაკრიტიკებული ნორვეგია და სლოვენია, აგრეთვე მასპინძელი ბელგია, დასუსტებული დანია, უიღბლო ჩეხეთი და არაფრისმთქმელი შვედეთი.

გავიდნენ: მასპინძელი ჰოლანდია, თითქოს ძალთა დაზოგვით მოთამაშე საფრანგეთი, შეკრული და ტაქტიკურად ძლიერი იტალია, ინდივიდუალურ ოსტატობაზე აწყობილი პორტუგალია, ბებერი, მაგრამ მაღალი კლასის რუმინეთი, სამშობლოსთვის თავდადებული თურქეთი და სასწაულმოქმედნი, ესპანეთი და იუგოსლავია. ბოლო ორის მიმართ ასეთი სიტყვა რატომ ვიხმარეთ, ალბათ, გასაგებია. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩი ამ ნაკრებებს შორის სხვანაირად მართლაც ვერ შეფასდება, თუმცა უეფას ტექნიკური ჯგუფის წევრი, ცნობილი გერმანელი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი და ზოგი გავლენიანი გაზეთის რეპორტიორები უფრო შორსაც წავიდნენ და ბრიუგეს „ჟან ბრეიდელზე“ 21 ივნისს მომხდარ ამბავს მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მატჩი უწოდეს. დიახ, საკითხი ასე დგას: უნახავს კი ადამიანის თვალს ოდესმე ასეთი ვირტუოზული შეხვედრა? ამიერიდან სხვა დიდი თამაშები (წარსულისა და მომავლის) უნდა შეედარონ ამას და არა პირიქით.

თუმცა, ეს შეხვედრა ვინძლო ცალკე საუბრის თემაც იყოს და ზოგად წერილში მისი შერევა ერთგვარ დაკნინებადაც ჩამოგვერთვას. ამიტომ გზა განვაგრძოთ.

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS



იუგოსლავია — ესპანეთი 3:4. პრედრაგ მიატოვიჩი (№8) და აბელარდო ფერნანდესი. ბევრი სპეციალისტისა და ჟურნალისტის აზრით, ეს იყო უგამორჩეულესი მატჩი ფეხბურთის ისტორიაში

ბადრი კეთილაძის ფოტო



აზერბაიჯანელები ალექსანდრე ჩივაძეს ნაკრებს სთავაზობენ

# ალექსანდრე ჩივაძის მომავალზე საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები ლაპარაკობენ

საქართველო — აზერბაიჯანის ბოლოდროინდელ კეთილმეზობლურ, საქმიან ურთიერთობაზე, ვფიქრობ, ლაპარაკიც ზედმეტია — გეოპოლიტიკურად ერთობ დაახლოებულნი ვართ. თვე არ გავა, ამ ქვეყნების სამთავრობო დელეგაციები არ ესტუმრონ ერთმანეთს. ლაპარაკობენ ნავთობზე, ენერგეტიკაზე... მოკლედ, ეკონომიკაზე. რამდენიმე დღის წინ კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ალაპარაკდნენ ფეხბურთზეც.

ნუ გაიკვირვებთ, თუ საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცად დაინიშნა.

ჩივაძის სამეზობლოში წასვლა სანახევროდ უკვე გადაწყვეტილია. როგორც შევიტყვეთ, საქმის კურსში საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებიც არიან.

დღესდღეობით კი... არც ბატონი ალექსანდრე ყოფილა აზერბაიჯანის ნაკრების გაწვრთნის წინააღმდეგი.

მეზობლებმა ჩივაძეს ერთი-ორი თვის წინ შესთავაზეს ეროვნული გუნდის გაწვრთნა, ჩვენებურმა უმალვე არ უპასუხა, დავფიქრდებიო. ამასობაში კი ეს საქმე სამთავრობო დონეზე ირჩევა.

ვნახოთ, თუ ჩივაძემ აზერბაიჯანის ნაკრები ჩაიბარა, რევაზ ძოძუაშვილისა და ელგუჯა გუგუშვილის კვალდაკვალ მესამე ქართველი იქნება, ვინც უცხო ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცად დანიშნეს. შეგახსენებთ, ძოძუაშვილი ლატვიის ნაკრებს წვრთნიდა, გუგუშვილი კი თურქმენეთისას.

კობა ინასარიძე

დასაწყისი პირველ გვერდზე

# იყო, არის და იქნება





ესპანეთ-საფრანგეთის ბრძოლა რაულისა და ზინედინ ზიდანის დუელიც იქნება

შაბათს და კვირას, მეოთხედფინალებში ერთმანეთს ხვდებიან: იტალია — რუმინეთი, თურქეთი — პორტუგალია, ჰოლანდია — იუგოსლავია და ესპანეთი — საფრანგეთი.

ახლა, თქვენი ნებართვით, ცოტა ხნით ისევ იოჰან კრუიფს დავუბრუნდებით. სწორედ დიდმა ჰოლანდიელმა შემოჰკრა განგაშის ზარი, ბევრი გუნდის ფეხბურთელებს ტექნიკა აკლიათო და ეს აზრი მრავალმა აიტაცა. პირველად კრუიფმა ინგლისელთა მისამართით თქვა ეს მწარე სიტყვა, შემდეგ კი განაზოგადა:

— სირბილი და მაღლა ახტომა ყველას შეუძლია, ამიტომ გადამწყვეტი იყო, არის და იქნება ტექნიკა. ვინც იმარჯვებს, ტექნიკის წყალობით, ოღონდ ამ სიტყვას რომ ვამბობ, ბურთით ჟონგლიორობას და სხვა სისულელეებს კი არა, ბურთის მიღებას, გადაწოდებას და მსგავს კომპონენტებს ვგულისხმობ.

ამრიგად, მოსაზრება — ვინც იმარჯვებს, ამას ტექნიკის წყალობით აკეთებს.

ახლა ტექნიკური ნიუანსების საყოველთაო, დაწვრილებით ანალიზს ვერ შევუდგებით და ამიტომ ყველაზე თვალსაჩინო გზას მივმართავთ: სიტყვას მეოთხედფინალში გასული გუნდების აღიარებულ ლიდერებზე შევაჩერებთ.

მოვყვეთ რიგის მიხედვით. იტალია — რუმინეთი. იტალიელთაგან ალესანდრო დელ პიერო განვიხილოთ, რუმინელთაგან — გეორგე ჰაჯი.

დავიწყოთ დელ პიეროთი. „რით ვერ გაიგო ამ კაცმა, რომ დელ პიერო ჩვენთვის იგივეა, რაც ინგლისელებისთვის ბექემი?" — კითხულობენ იტალიელები და „ამ კაცს" „სკუადრა აძურას" მწვრთნელს, დინო ძოფს უწოდებენ, რომელმაც არა და არ აღირსა „იუვენტუსის" ვარსკვლავს მუდმივი ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ამაზე „ის კაცი" პასუხობს:

„ბოლო შეხვედრაში დელ პიერომ სასიკეთო ეჭვი გამიჩინა და ეს ამბავი თავად მესიამოვნა. ახლა კარგი იქნება, თავს თუ დამანებებთ და ამ დადებითი განწყობით მარტო დამტოვებთ. ვნახოთ, ვნახოთ..."

თავად ფეხბურთელმა კი ასე თქვა: „შვედებთან მატჩი ჩემთვის სულაც არ ყოფილა გამოცდა, ის ისეთივე გახლდათ, როგორიც წინა ორი, იმ განსხვავებით, რომ პირველ და მეორე შეხვედრებში ცოტა ხანს ვითამაშე. მე თუ მკითხავთ, კმაყოფილი ვარ, ცუდად არ მითამაშია, კმაყოფილი გახლავართ იმითაც, რომ მწვრთნელმა ჩემზე აზრის შეცვლა დაიწყო."

ახლა ჩავხედოთ დელ პიეროს ტექნიკურ მონაცემებს: ევრო 2000-ის 3 შეხვედრაში მოედანზე სულ 134 წუთი დაჰყო, გაიტანა 1 გოლი, ერთხელ ბურთი ხარიხას გაარტყა (ძელისთვის არ გაურტყამს), 5-ჯერ ააცილა, ერთხელ კარში დაარტყა, მაგრამ უგოლოდ, ერთხელ საგოლე პასი შეასრულა, 7-ჯერ თამაშგარეში დარჩა, 5-ჯერ დაჯარიმდა, 3-ჯერ კი მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ.

რაც შეეხება გეორგე ჰაჯის, იგი დღეს, შესაძლოა ისე ვეღარ თამაშობს, როგორც თუნდაც რამდენიმე წლის წინ, მაგრამ მისი თანაგუნდელის, დან პეტრესკუს სიტყვებს თუ გავიმეორებთ, როდესაც ჰაჯი მოედანზეა, გუნდი იმედიანადაა და უფრო კარგად თამაშობს. ისე, კაცმა რომ თქვას, რუმინელებმა ინგლისელებს სწორედ დისკვალიფიცირებული ჰაჯის გარეშე მოუგეს, მაგრამ ასეც ხდება.

ევრო 2000-ის სამი შეხვედრიდან „კარპატელმა მარადონამ" ორში ითამაშა, სულ 163 წუთი. დელ პიეროსგან განსხვავებით გოლი არ გაუტანია და არც ხარიხისა თუ ძელისთვის გაურტყამს ბურთი. გიკვირთ? ერთი საგოლე პასიც არ გადაუწოდებია, კარში ერთხელ დაარტყა, თამაშგარეში ორჯერ დარჩა, ორჯერვე დაჯარიმდა, სამჯერ კი მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ. გარდა ამისა, ორი ყვითელი ბარათიც მიიღო.

მაგრამ ჰაჯი ჰაჯია. ყოველ შემთხვევაში, რუმინელთათვის.

თურქეთსა და პორტუგალიიდან კი, ალბათ, ყველაზე ლოგიკური ლუიშ ფიგუსა და ჰაქან შუქურის შედარება იქნება. სანამ ციფრებზე გადავიდოდეთ, ჰაქან შუქური შევაქოთ — მსაჯთან და მოწინააღმდეგეებთან კამათის მოყვარული თურქეთის ნაკრებიდან ის ერთადერთი კაცი ჩანს, რომელიც მსგავსი წვრილმანებისგან აბსოლუტურად შორს დგას. იმედი ვიქონიოთ, რომ შუქურს ქება არ აწყენს.

ახლა კი ევრო 2000-ის პრეს-ცენტრის კომპიუტერში შევიხედოთ. ფიგუს 3-დან 2 შეხვედრა აქვს ნათამაშევი, შუქურს სამივე — 180 წუთი 270-ის წინააღმდეგ. გოლი პორტუგალიელმა ერთი გაიტანა, თურქმა ორი. ხარიხა და ძელი არც ერთს შეუწუხებია. კარში ზუსტად, მაგრამ უშედეგოდ დარტყმაში 1:0-ია შუქურის სასარგებლოდ, აცილებებში 2:1 — ფიგუმ მეტი ააცილა. თამაშგარეთ პორტუგალიელი ერთხელ დარჩა, თურქი ექვსჯერ, თუმცა ეს ამპლუებითაა განპირობებული. საგოლე პასი ფიგუმ ერთხელ გადააწოდა, შუქურმა ვერცერთხელ, ფიგუ ორჯერ დაჯარიმდა, შუქური — ჰოი, საოცრებავ — შვიდჯერ, ხოლო ფიგუს წინააღმდეგ ექვსჯერ დაარღვიეს თამაშის წესი, შუქურის წინააღმდეგ ერთადერთხელ. ყვითელ ბარათებში კი პორტუგალიელმა „აჯობა" — 1:0.

გადავიდეთ კვირის თამაშებზე: ჰოლანდია — იუგოსლავია, ანუ თქვენი ნებართვით, დენის ბერხკამპი — სინიშა მიხაილოვიჩი. აქ ალბათ, ვარსკვლავების შერჩევაზე კამათიც შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერი პირობითია და თუ სხვა აზრი გაქვთ, ეს ერთი მაპატიეთ. ერთსაც მოგახსენებთ, იუგოსლავიელთაგან შეიძლებოდა რომელიმე შემტევი ფეხბურთელის „გამოყვანაც", მაგრამ... მაგალითად, დრაგან სტოიკოვიჩზე წერის სურვილი მაინცდამაინც არ მაქვს, რადგან (არ ვიცი, ეკრანზე ჩანდა თუ არა) ესპანეთთან შეხვედრაში, მოწინააღმდეგის მეორე გოლის შემდეგ, ამ ღვაწლმოსილმა ვეტერანმა მოზეიმე, ხელებალმართულ მუნიტისს გზად ფეხი დაუდო და შემდეგ თავად გაკოტრიალდა, ვაი, ვაი, დამეჯახა და მატკინაო. სტოიკოვიჩი ის კაცი ყოფილა, სხვის სიხარულს რომ ვერ ეგუება.

ერთი სიტყვით, დავუბრუნდეთ ბერხკამპს (3 თამაში) და მიხაილოვიჩს (2 თამაში, 1 წითელი ბარათი). პირველი მოედანზე 242 წუთი იყო, მეორე — 143. გოლი, ვაგლახ, არც ერთს გაუტანია, ხარიხას პირველმა გაარტყა, ძელს არცერთმა. კარისკენ ზუსტად, მაგრამ უშედეგოდ ჰოლანდიელმა სამჯერ გაისროლა, იუგოსლავიელმა ორჯერ, უზუსტო დარტყმებში 5:1-ია, საგოლე პასებში 0:0, თამაშგარეთ არც ერთი დარჩენილა. ჰოლანდიელი 10-ჯერ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი 8-ჯერ დაარღვიეს წესი. მიხაილოვიჩის დისციპლინარული სტატისტიკა ასეთია: 5-2.

დაბოლოს, ესპანეთი — საფრანგეთი. აქ სადავო არაფერია, ზინედინ ზიდანი — რაული, რაკილა აღიარებულ ვარსკვლავებზე ვლაპარაკობთ.

ზიდანმა ევრო 2000-ის 3 მატჩიდან 2 ანუ 180 წუთი ითამაშა, რაულმა სამივე — 270 წუთი. გოლები 0:1, ხარიხა და ძელი 0:0, ზუსტი, უგოლო დარტყმები 1:2, აცილებები 5:9, საგოლე პასები 0:1, თამაშგარე 0:2, დაჯარიმდნენ 2:4, მათ წინააღმდეგ წესი დაარღვიეს 3:4.

მაგრამ სტატისტიკა სტატისტიკაა და მეტი არაფერი. ის ვერ აღრიცხავს, როგორ მოქმედებს პასიური ჰაჯის მინდორზე ყოფნა მის თანაგუნდელებზე, დელ პიეროს თუნდაც 15-წუთიანი თამაში, ვთქვათ, ინძაგიზე და ასე შემდეგ. ამიტომ ციფრებს ანგარიში გავუწიოთ, გავითვალისწინოთ და ისე, მაგრამ მაინც საკუთარი აზრი შევიქმნათ. საკუთარ აზრს, ოღონდ არა ახირებულს, არაფერი სჯობს, თუნდაც იგი თვით იოჰან კრუიფისას არ ეთანხმებოდეს.

# ქალაქური ამბები

**ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა თავდაპირველად რვა ქალაქმა ითავა. ჯგუფური ეტაპი ჩამთავრდა. დიდი ფეხბურთი ოთხ მათგანსღა შერჩა. ჩვენ კი რვავე ქალაქის ამბავი გავარჩიოთ**

## ბრიუსელი

ბელგიის დედაქალაქის მცხოვრებლებისა გამკვირვებია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ევროპის ჩემპიონატი საქართველოში ტარდება. როგორ ფიქრობთ, ჩვენი „ეროვნული" არ გაივსება? გაივსება კი არა, ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ იპოვის კაცი. იქ კი რა ხდება? ჩამოსული სტუმრები რომ არა, ბრიუსელელი მოქალაქენი „მეფე ბოდუენს" ვერაფრით შეავსებდნენ. აგერ, გახსნის დღეს სტადიონის სალაროებში 2 ათასი ბილეთი გაუყიდავი დარჩა. ეგებ იტალია-ბელგიის შეხვედრის სანახავად მივიდნენ? კი, როგორ არა, მაგრამ აქა-იქ ცარიელი ადგილები მაინც შეინიშნებოდა, ჯამში ასე — 500 იქნებოდა. ბოლო ტურშიც იგივე განმეორდა, გეხსომებათ, ბელგიელებს ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ თურქებთან ვერაფერი გააწყვეს. ბრიუსელელებს დიდად გულიც არ დაწყვეტიათ, აბა, ცარიელ ადგილებს რით ავხსნით. და საერთოდაც, ბრიუსელელებს, რომლებიც სტადიონზე სისტემატურად დადიან, არ გაუმართლათ. ამ ქალაქში არცთუ საინტერესო მატჩები ჩატარდა და გოლებიც ბევრი არ გასულა — მხოლოდ 7. თუმცა ამაზე მწირგოლიანი მატჩები სხვაგანაც გაიმართა.

## არნემი

აქ მხოლოდ 4 გოლი გავიდა და თამაშები საეჭვო კლასისა გამოდგა — თურქეთი — იტალია, რუმინეთი — პორტუგალია, სლოვენია — ნორვეგია. საინტერესო ამბებიდან კი არნემის „ჟელრედომზე" ფილიპო ინძაგის გაგორება, კოშტინიას ბოლო წამებზე გატანილი გოლი და გუშინწინ ნორვეგიელთა დაღვრემილი სახეები იყო. და ისევ ცარიელი ტრიბუნები. რუმინეთი — პორტუგალიის მატჩზე 30 ათასი ადგილიდან მხოლოდ 18 ათასი რომ შეივსება, ცარიელია, აბა, რა. სხვათა შორის, ჩემპიონატზე ეს ყველაზე მწირმაყურებლიანი თამაში გახლდათ. რა გამოდის? არნემელები ან ფეხბურთს უყურებენ ალმაცერად, ან ბილეთების შესაძენი ფული არა აქვთ. რა ვიცი, ხელფასები ბელგაში ჩვენზე დიდია.

## ბრიუგე

ყველაზე ბევრი გოლი ჩვენს „ჟან ბრეიდელზე" გავიდაო, ბრიუგელებს საკვეხნად აქვთ. და განა მარტო გოლები? თამაშებიც კარგი საყურებელი გამოდგა. საფრანგეთი — დანია, ჩეხეთი — საფრანგეთი და ბოლო ხომ სულ მთლად დიდებული — იუგოსლავია — ესპანეთი. კი, დიდხანს იქნება საკამათო ესპანელებმა გაიტანეს ბოლო წუთებზე გოლები, თუ იუგებმა გაუშვეს, მაგრამ როგორი სანახაობა იყო? ისე, იქაურებმა ერთი შეცდომა დაუშვეს, პირველ ორ მატჩში ტრიბუნები თითქმის ბოლომდე რომ შეავსეს, მესამეზე წასვლა დაიზარეს — 8 ათასი ადგილი პატრონს ამაოდ ელოდა.

## ამსტერდამი

ჰოლანდიელთა მთავარ ქალაქში ფეხბურთი ჯერჯერობით ისეთი ვერ გამოდგა, როგორსაც ელოდნენ. პირველ ტურში ამსტერდამელები ნარინჯისფერთა წვალებას მთელი 90 წუთი შეჰყურებდნენ და ხასიათი მხოლოდ პიერლუიჯი კოლინამ გამოუკეთათ. მეორე ტურში მათ ესპანელები და სლოვენიელები ესტუმრნენ და მოსაწყენად ითამაშეს. ბოლოს კი არაფრის მომცემ მატჩში ფრანგთა მეორე შემადგენლობა იხილეს. ამიტომ ტრიბუნებზე 8 ათასი ადგილი ცარიელი იყო. თუმცა მართალი არ ვარ, ჰოლანდიელთაგან ფრანგთა ძლევამ რაიკარდის ბიჭები დედაქალაქში დატოვა. ამსტერდამელ ქომაგებსაც ეს არ სურდათ? ყვითელი ბარათების ფრიალიც ამ ქალაქში ყველაზე მეტი იყო — თექვსმეტი.

## ლიეჟი

რა ნახეს ლიეჟელებმა? დანია — ჩეხეთის აზრდაკარგული მატჩი, უსახური გერმანელები და ნორვეგია — იუგოსლავიის ერთგოლიანი თამაში. ლიეჟელები სტადიონზეც იშვიათად ჩანდნენ, 5-6 ათასი ადგილი მუდამ ცარიელი იყო, დანარჩენები კი ძირითადად უცხოტომელ ქომაგებს შეევსოთ. ხოლო ფეხბურთის თავგადაკლულ მოყვარულ ლიეჟელთა ნაწილს (სწორედ მათ, სტადიონზე მისვლას რომ არ თაკილობდნენ) ნორვეგია — იუგოსლავიის მატჩში არც კეჟმანის მინდორზე გამოჩენის ამბავი შეუტყვიათ და არც გაძევების — ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ისე, სასეირო რამ კი იყო.

## ეინდჰოვენი

ფეხბურთის რამე გაგვეგებაო, იქაურებმა უნდა თქვან. ეინდჰოვენში გამართულ პირველ თამაშზე ტრიბუნები გაივსო, არც შემცდარან, პორტუგალიელთაგან ინგლისის გაბითურება იხილეს. ეინდჰოვენელებმა მეორე ტურშიც მიზანში გაარტყეს — შინ დარჩნენ. სწორი გადაწყვეტილება იყო. შვედეთი — თურქეთის მატჩზე ტრიბუნებზე ძილს, ისევ სახლში ძილი სჯობდა. მესამე ტურში კვლავ გაივსო ტრიბუნები — ალბათ, იტალიელთა თამაშის ხილვა სურდათ. იტალია პირველი შემადგენლობით იქნება თუ მეორეთი, მაინც იტალიაა.

როგორც ჩანს, ეინდჰოვენური ჰავა ფეხბურთელებზე განსაკუთრებით დამამშვიდებლად მოქმედებს. იქ სულ 4 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

## როტერდამი

ჩვენთვის ჯერ კიდევ 1981 წლიდან ავადმოსაგონარ როტერდამის „დე კიუპის" სტადიონზე დანია — ჰოლანდიის მატჩზე მისულ გულშემატკივრებს სანანებლად საქმე არ გახდომიათ — ჰოლანდიამ დიდი ანგარიშით მოიგო. მერე ეს ხალხი ადგა და პორტუგალია — გერმანიის თამაშსაც დაესწრო — კვლავ სამი გოლი და სიამოვნება. მხოლოდ ამჯერად ცოტა ნაკლებნი იყვნენ. ნარინჯისფერთა თამაშზე როტერდამელებმა ტრიბუნები შეავსეს, პორტუგალიელთა სანახავად კი 7 ათასი ინდივიდუალური სკამი ცარიელი დარჩა. მხოლოდ პირველმა ტურმა არ გაუმართლათ, ესპანეთი ნორვეგიელთა ყრუ დაცვას ასკდებოდა და საყურებელიც არაფერი იყო (ცხადია, ხოსე მოლინას გარდა).

## შარლერუა

ბრიუსელელებო, არნემელებო, ბრიუგელებო, ამსტერდამელებო, ლიეჟელებო, ეინდჰოვენელებო და როტერდამელებო, გშურდეთ შარლერუელებისა, მათ ცოცხლად ნახეს ის, რაც თქვენ არ გინახავთ: იუგოსლავია — სლოვენია, ინგლისი — გერმანია, ინგლისი — რუმინეთი. რაო, ჩხუბიც იყო? კი, როგორ არა, მაგრამ თუ შარლერუაში ვინმე ფეხბურთის ნამდვილი ქომაგი ცხოვრობს, სწორედ ამ თამაშებს გაიხსენებს და არა ერთ-ორ უძილო ღამეს, როცა პოლიცია ხულიგნებს ებრძოდა.

**გიორგი დარჯანია**

# მოასწარით ცეკვა, ხვალ ომი იწყება



თომას ლინკეს (№4) გერმანიის პორტუგალიელი სერჟიუ კონსეისაუს ჰეთ-ტრიკმა მოუღო ბოლო

ევრო 2000-ის ალმართს 16 გუნდი შეუდგა. ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ ალმასვლას 8 მათგანი განაგრძობს. უკან დარჩა ჯგუფური ეტაპისთვის დამახასიათებელი ყველანაირი გაანგარიშება. ამიერიდან ყველა გამარჯვებისთვის იბრძოლებს. წაგებული უკანმოუხედავად გაემგზავრება შინ.

მეოთხედფინალური მატჩების დაწყებამდე კიდევ დღეა დარჩენილი, ამიტომ, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება, თუ ჯგუფში ჩარჩენილთა და მეოთხედფინალში გასულთა ავანჩავანს კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რამეთუ უმიზეზოდ ფეხბურთში არაფერი ხდება.

A ჯგუფს და, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატსაც ნაადრევად დაემშვიდობა ევროპული და მსოფლიო ფეხბურთის ორი გრანდი — გერმანია და ინგლისი. ერთს ხანდაზმულობამ მოუღო ბოლო, მეორეს — გადაღლილობამ. რა თქმა უნდა, ერიხ რიბეკისა და კევინ კიგანის მცდარმა გადაწყვეტილებებმაც შეუწყო ხელი მათ ფიასკოს.

გერმანიამ საბოლოოდ ბოლოსწინა, მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა, არადა, იგი წინა ევროჩემპიონატის გამარჯვებული იყო. კიდევ ერთხელ განმეორდა გერმანელთათვის აქამდე ერთადერთი განცდილი უსიამოვნება — 1980 წელს მათ ევროპის ჩემპიონატი მოიგეს, ხოლო 1984-ში ჯგუფური ტურნირი ვერ დაძლიეს. მეტოქეებად მაშინაც პორტუგალია და რუმინეთი არგუნა წილისყრამ.

რა შერჩა გერმანიას? ბევრიც არაფერი, ლოთარ მათეუსის პირადი რეკორდი, სირცხვილი და სინანული, ხოლო საფეხბურთო ევროპამ ცხადად ნახა, რომ გერმანული ფეხბურთის კრიზისი ღრმავდება.

იქნებ ახლა მიხვდა კევინ კიგანი, რომ შირერისა და ჰესკის შეწყვილება გუნდისთვის არაფრისმომტანია. რომ ადამსი მეტად მოდუნებულა და ფილ ნევილიც ძმის აჩრდილიღა დარჩენილა. ისიც ხომ ნათლად გამოჩნდა, რომ უაიზი ვერასდროს შეცვლის მაკმანამანს და არც სქოულზის მინდვრიდან გაყვანა შეიძლება საორჭოფო ვითარებაში.

შირერის საუკეთესო წლები წასულა, მარტინი უფრო დამძიმებულა. ბექემი იმის შიშით აღარ იყო, სადმე ტრიბუნაზე ვიქტორია არ იჯდეს და არ დამლუპოსო. სიმენზე ერთი სერის ტიტული ალალი იქნებოდა და ფეხბურთიდანაც თუ გააცილებდნენ, მთლად უკეთესი. ყველა ამ ფაქტის გათვალისწინებით ინგლისელთა შინ ნაადრევი გამგზავრება კანონზომიერებაა და მეტიც არაფერი. ისე, ინგლისური ფეხბურთის მამები გლენ ჰოდლს თავის სულებიანად უკანვე, ნაკრებში თუ დააბრუნებენ, ურიგო (ნაკრებისთვის) არ იქნება.

რუმინელი ჰაჯი სანაკრებო კარიერის უკანასკნელ წელს ითვლის. ის კი არა, როგორც გამოჩნდა, უჰაჯო რუმინელები უფრო მობილურნი და მებრძოლნი ყოფილან. ისინი ტრადიციას არ ღალატობენ, მეტოქეს ფეხბურთის თამაშის სურვილს უკლავენ და გადამწყვეტ მატჩში სულ უგებენ ინგლისს.

პორტუგალიის ამჟამინდელმა შემადგენლობამ ახალგაზრდულ შეჯიბრებებში თითქმის ყველაფერი მოიგო. ახლა ევროპულ მწვერვალს ეპოტინებიან. ფიგუ გაცილებით დიდი და ბრწყინვალე ყოფილა, რომელსაც, მართალია, რუი კოშტა ბრწყინვალებით ვერ გაუტოლდება, მაგრამ არანაკლებ სიდიადეს ისიც დაიჩემებს. მათ გვერდზე სხვებიც ვარსკვლავურად გამოიყურებიან და თამაშობენ. ამიტომაა პორტუგალია ძლიერი გუნდი.

B ჯგუფში, ყველასთვის მოულოდნელად, იტალიამ სამივე მატჩი მოიგო. ეს აქამდე მხოლოდ ორჯერ მომხდარა, ისიც მსოფლიოს 1978 და 1990 წლების ჩემპიონატებში. დინო ძოფმა დაამტკიცა, რომ სერიოზული და სოლიდური მწვრთნელია. მას ჰყავს თითქმის ორი სრულფასოვანი შემადგენლობა და ალბათ იტალიამ ყველაზე უკეთ იცის, როგორ გააკეთოს შედეგი.

თურქეთი! ბრძოლისუნარიანი, ხასიათის სიმტკიცით გამორჩეული, შეიძლება ითქვას, „თავხედი“ გუნდი, რომელსაც სათავეში ჭკვიანი და ფიქრიანი სარდალი უდგას. მუსტაფა დენიზლის საფეხბურთო მსოფლმხედველობამ და უმკაცრესმა დისციპლინამ თურქეთს სანუკვარი შედეგი მოუტანა. ისინი განაგრძობენ ევროპულ ფეხბურთში თვითდამკვიდრების პოლიტიკის გატარებას და საკუთარ რეკორდებს აუმჯობესებენ.

თურქეთმა ევროპის ჩემპიონატზე გაიტანა თავისი პირველი გოლი, აიღო პირველი ქულა, შეძლო პირველად გამარჯვება და პირველადვე დაძლია ჯგუფური ტურნირი. არაერთი პირველი მიღწევის მიუხედავად, თურქები ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ ამას დიდ ყურადღებას არც აქცევენ, მთავარია, რომ წინ, მეოთხედფინალია.

ბელგიამ ბევრი შეცდომა დაუშვა და კანონზომიერად იმყოფება კუთვნილ ადგილზე. რობერ ვასეჟმა, ფაქტობრივად, „მკვდარი“ ბელგიის გაცოცხლება კი შეძლო, მაგრამ მწვრთნელი ჯადოქარი არ ყოფილა და მისი ეშმაკობები შვედეთის გარდა ვერავისთან გავიდა. მეკარემ ასალები ბურთები გაუშვა, გასაშვები მოიგერია, მაგრამ... ბებერი სტალენსისა არავის (მოწინააღმდეგეთ) ეხათრებოდა, ნილისი კი ფორმაში არ იყო. ვილმოტსისა და შტრუპარის მონდომება კი იმ ამბავს მოგაგონებდათ, უძაღლო ქვეყანაში კატებს რომ აყეფებენ. ასეთი გუნდით ევროპის ჩემპიონობაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა.

შვედეთი ორმა მწვრთნელმა ვერ მოამზადა და ერთი რომ ჰყოლოდათ, ალბათ იმ კინკილა ქულასაც ვერ აიღებდა. ლარსონი ფორმაში ვერ იყო, ანდერსონმა ჩვეულად ვერ ითამაშა, ლიუნგბერგის სასიკეთოდ გამოყენება მხოლოდ არსენ ვენგერს შეძლებია, ამას ტრავმირებულებიც დაუმატეთ და არიან ახლა შვედები თავიანთ შვედეთში წყნარად და უპრეტენზიოდ.

სრეჩკო კატანეცმა სლოვენიას დიდი სიხარული აჩუქა. პირადად ამ კაცის დამსახურებაა, რომ სლოვენები ბენილუქსში მოხვდნენ. ორი ფრე და ერთი წაგება სულაც არ გახლავთ ურიგო შედეგი ევროჩემპიონატის დებიუტანტი გუნდისთვის. კატანეცს შეუძლია, მშვიდად იყოს, სხვისი რა ვიცი და, მას უმუშევრობა ნამდვილად არ ემუქრება.

ნორვეგიამ ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია. ვიკინგებმა ახლაც ტრიუმფით გაიარეს ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპი, იქ კი ჯგუფში ჩარჩნენ. ნორვეგიელებმა ყველაზე შეუხედავი ფეხბურთი ითამაშეს, მაგრამ ყველაზე სუსტები ნამდვილად არ იყვნენ, თუმც გამოჩნდა, რომ არც ისე ძლიერები ყოფილან.

ხოსე ანტონიო კამაჩოს ახლა მართლა შეუძლია, იცეკვოს, მაგრამ მთლად უნაკლო გუნდიც რომ არ ჰყავს, ფაქტია. რაულს გოლის გატანა ძალუძს, მენდიეტა შემსრულებელი და დაუღალავია. იქ გვარდიოლა, აქ ალფონსო, მაგრამ დაცვა მაინცდამაინც ყოჩაღად ვერ გამოიყურება, ისე როგორც მოლინა — კანისარესი. დამცავი ზღუდეების არასტაბილური თამაში დაღუპავს ესპანეთს, თუმც ჯგუფიდან სასწაულებრივად გასვლის შემდეგ ჯერაც არის ცეკვის დრო.

თუ გნებავთ, საქმეში ნამდვილი იუგოსლავია იხილოთ, ჰაშინ მეორე ტაიმში კაცნაკლული დატოვეთ და მერე დატკბით სტოიკოვიჩის, იუგოვიჩის, დრულოვიჩისა და მილოშევიჩის ოსტატობით. ალბათ, სულ მალე მიატოვიჩიც ათამაშდება და... დაუმატეთ ამას ვუიადინ ბოშკოვის საფეხბურთო სიბრძნე და სიბერის ჟამს თავისთვის გადანახული საფეხბურთო ეშმაკობები. ყველაფერს თუ ერთად შეკრებთ, მეტად სიმპათიურ, სასიამოვნოდ მოთამაშე გუნდს მიიღებთ, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს.

საცოდავი დანია. პატიოსანი და მშრომელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი და ერთადერთი ვარსკვლავი, სიბერის [illegible] შმაიხელი. დანიას ორიდან ერთი ლაუდრუპი მაინც რომ ჰყოლოდა... ეჰ, რომ ჰყოლოდა, რომ გაეტანა... ასეთები საფეხბურთო ევროპას სასაცილოდ არ ჰყოფნის. დანიამ, ევროპის 1992 წლის ჩემპიონმა, ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა და ბოლო, მეთექვსმეტე ადგილი ირგუნა.

საწყალი ჩეხები. აქეთ მსაჯი არ სწყალობდათ, იქით მეტოქეთა ძელხარიხები დალეწეს და მაინც დაიჩაგრნენ. იოზეფ ხოვანეცს ჰყავდა საოცრად დაბალანსებული და დისციპლინიანი გუნდი, ორიოდ ვარსკვლავიც მოეძებნებოდა, მაგრამა ისიც სათქმელია, რომ ხოვანეცმა ფეხბურთელები ჩემპიონატში საუკეთესო ფორმაში მყოფები ვერ ჩააბა. და საერთოდ, 1996 წლის ჩეხეთი წლევანდელს გაცილებით სჯობდა. მთლად უსახელოდაც არ წასულან ჩეხეთში, ბევრის სიმპათია და დაფასება გაიყოლეს.

საფრანგეთმა ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც სურდა. ჯგუფიდან ძალების საკმაო დაზოგვით გავიდა, ბოლო მატჩში კი ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა. საფეხბურთო სპექტაკლი იყო ამათი და ჰოლანდიელების დაპირისპირება. მართალია, წააგეს ბოლო მატჩი, მაგრამ ფრანგულენოვან ბელგიაში გადაინაცვლეს, სადაც უამრავი მხარდამჭერი ეყოლებათ და თავს ისე იგრძნობენ, როგორც პარიზში. ეს კი დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობაა ლემერის გუნდისთვის.

ჰოლანდიამ უფერულად დაიწყო, მერე უფრო მოფერიანდა, ბოლოს კი დიდებულად ათამაშდა. რაიკარდმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. ჯგუფიდანაც გავიდა და ჰოლანდიაშიც დარჩა. მეოთხედფინალში ალბათ, ისეთ ჰოლანდიას ვნახავთ, უმაღლესი მიზნისთვის მებრძოლი რომ ეთქმის. სტამმა ტრავმა მოირჩინა, მთავარი ბური საიმედო და სასარგებლოა, ზენდენი ათამაშდა, კლუივერტი არ ხულიგნობს, ბერხკამპს კი გასაფრენი არსად აქვს და თამაშებობენ ჰოლანდიელები.

ნამდვილი ევროპის ჩემპიონატი ახლა იწყება. დამარცხებული პირდაპირ შინ გაემგზავრება, გამარჯვებული კი მწვერვალისკენ გააგრძელებს გზას. მერე ეს „ევრო“ დასრულდება და ისტორიაც თავის მორიგ ფურცელს ჩაიწიკწიკებს.

**მამუკა ძვანტალიანი**



ფრანგი დავიდ ტრეზეგესა და ედგარ დავიდსის (8) დუელი ჰოლანდიელის გამარჯვებით დამთავრდა



ესპანელი ხოსეპ გვარდიოლასა (№4) და უიგოსლავიელი ვლადიმირ იუგოვიჩის „ხელჩართული“ ბრძოლა



იუგოსლაველი სავო მილოშევიჩი ჯერჯერობით ევრო 2000-ის საუკეთესო მეგოლეა

## ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრები „სარბიელის“ ვერსიით




### ილია ჭაჭყნაშვილი

ტომას მირე, ლილიან ტურამი, გეორგე პოპესკუ, ფაბიო კანავარო, სერხი, გაისკა მენდიეტა, ხოსეპ გვარდიოლა, პოლ სქოულზი, კრისტიან კივუ, ტიერი ანრი, რაული

### სოლომონ ქულიჩაშვილი

ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, გაისკა მენდიეტა, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, პაველ ნედვედი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### გიორგი დარჯანია

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ფაბიო კანავარო, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, სერჟიუ კონსეისაუ, კარელ პობორსკი, ზინედინ ზიდანი, გაისკა მენდიეტა, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### გიორგი ვაშაკიძე

ფრანჩესკო ტოლდო, პაოლო მალდინი, მარსელ დესაი, ალესანდრო ნესტა, ლილიან ტურამი, ედგარ დავიდსი, გაისკა მენდიეტა, ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### კახა თალაკვაძე

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ვლადიმირ იუგოვიჩი, მანუელ რუი კოშტა, გაისკა მენდიეტა, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### მამუკა კვანტალიანი

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, ფერნანდუ კოუტუ, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, ბუდევინ ზენდენი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### პაატა კვანტალიანი

ფრანჩესკო ტოლდო, კრისტიან კივუ, ფაბიო კანავარო, მარსელ დესაი, სლობოდან კომლიენოვიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი, გაისკა მენდიეტა, ლიუბინკო დრულოვიჩი, რაული, სერჟიუ კონსეისაუ, სავო მილოშევიჩი

### სოსო კოტორაშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, კრისტიან კივუ, სერჟიუ კონსეისაუ, გაისკა მენდიეტა, ედგარ დავიდსი, ლუბინკო დრულოვიჩი, ალფონსო პერესი, სავო მილოშევიჩი

### ვანო ოქროპირიძე

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, პაოლო მალდინი, ფაბიო კანავარო, გაისკა მენდიეტა, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ლიუბინკო დრულოვიჩი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### მერაბ ლაციშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, მარსელ დესაი, ლილიან ტურამი, ფრანკ დე ბური, პაოლო მალდინი, ზინედინ ზიდანი, დორინელ მუნტეანუ, ლუიშ ფიგუ, გაისკა მენდიეტა, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### თენგიზ ფოფხაძე

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, მიროსლავ ჯუკიჩი, ფრანკ დე ბური, პაოლო მალდინი, დრაგან სტოიკოვიჩი, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, გაისკა მენდიეტა, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### გიორგი ხარაციშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, აბელ შავიერი, მარსელ დესაი, ლორან ბლანი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ედგარ დავიდსი, პაველ ნედვედი, ლუბინკო დრულოვიჩი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

### კობა ინასარიძე

ფრანჩესკო ტოლდო, ამირ კარიჩი, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, ანდრე ბერგდოლმო, დან პეტრესკუ, ვლადიმირ იუგოვიჩი, ლუბინკო დრულოვიჩი, რაული, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი




### გურამ ხელაშვილი

ფაბიენ ბარტეზი, აბელ შავიერი, ლილიან ტურამი, პაოლო მალდინი, ლორან ბლანი, ლუიშ ფიგუ, გაისკა მენდიეტა, ზინედინ ზიდანი, ლუბინკო დრულოვიჩი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

## ყველა მეგოლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 — სავო მილოშევიჩი (იუგოსლავია)

3 — ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენია), სერჟიუ კონსეისაუ (პორტუგალია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), ჰაქან შუქური (თურქეთი), ალან შირერი (ინგლისი), ალფონსო პერესი (ესპანეთი), ვლადიმირ შმიცერი (ჩეხეთი), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ბუდევინ ზენდენი (ჰოლანდია)

1 — ბარტ გოორი (ბელგია), ემილ მპენზა (ბელგია), იოჰან მიალბი (შვედეთი), ანტონიო კონტე (იტალია), ფილიპო ინძაგი (იტალია), ოკან ბურუქი (თურქეთი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), სილვენ ვილტორდი (საფრანგეთი), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), მეჰმეთ შოლი (გგერმანია), პოლ სქოულზი (ინგლისი), სტივ მაკმანამანი (ინგლისი), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), ჟოაუ პინტუ (პორტუგალია), ნუნუ გომეში (პორტუგალია), სტეფან ივერსენი (ნორვეგია), ლუბინკო დრულოვიჩი (იუგოსლავია), მირან პავლინი (სლოვენია), ფრანჩესკო ტოტი (იტალია), სტეფანო ფიორე (იტალია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), კარელ პობორსკი (ჩეხეთი), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), ფრანსისკუ და კოშტა კოშტინია (პორტუგალია), რაულ გონსალესი (ესპანეთი), ხოსება ეჩებერია (ესპანეთი), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ალესანდრო დელ პიერო (იტალია), ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), კრისტიან კივუ (რუმინეთი), დორინელ მუნტეანუ (რუმინეთი), იონელ განეა (რუმინეთი), დეიან გოვედარიცა (იუგოსლავია), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), პედრო მუნიტისი (ესპანეთი), გაისკა მენდიეტა (ესპანეთი), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი)

## უდისციპლინონი

### გაძევებულნი

პატრიკ ანდერსონი (შვედეთი), რადოსლავ ლატალი (ჩეხეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (იუგოსლავია), მატეა კეჟმანი (იუგოსლავია), ფილიპ დე ვილდე (ბელგია), სლავიშა იოკანოვიჩი (იუგოსლავია)

### გაფრთხილებულნი

2 — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ჰოლანდია), გეორგე ჰაჯი (რუმინეთი), დარკო მილანიჩი (სლოვენია), ანდრიან ილიე (რუმინეთი), კოსმინ კონტრა (რუმინეთი), დან პეტრესკუ (რუმინეთი), მირან პავლინი (სლოვენია), კარელ პობორსკი (ჩეხეთი)

1 — გერტ ვერჰეენი (ბელგია), ლუკ ნილისი (ბელგია), ნიკო ვან კერკჰოვენი (ბელგია), მიქაელ შიონბერგი (დანია), პაველ ნედვედი (ჩეხეთი), ტომაშ რეეპკა (ჩეხეთი), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია), პოლ ინსი (ინგლისი), ვიტორ ბაია (პორტუგალია), ხოსება ეჩებერია (ესპანეთი), მიჩელ სალგადო (ესპანეთი), ანდრე ბერგდოლმო (ნორვეგია), ანტონიო კონტე (იტალია), ჯანლუკა ძამბროტა (იტალია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), იოჰან მიალბი (შვედეთი), სუათ კაია (თურქეთი), ლილიან ტურამი (საფრანგეთი), პეტრ გაბრიელი (ჩეხეთი), ირჟი ნემეცი (ჩეხეთი), მარეკ იანკულოვსკი (ჩეხეთი), მიხაელ რაიციგერი (ჰოლანდია), ბერტ კონტერმანი (ჰოლანდია), ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია), ალან ნილსენი (დანია), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), დევიდ ბექემი (ინგლისი), იენს იერემისი (გერმანია), მარკუს ბაბელი (გერმანია), ჯონი ნოვაკი (სლოვენია), ამირ კარიჩი (სლოვენია), აუგუსტინ არანსაბალი (ესპანეთი), ივან ელგერა (ესპანეთი), სლავიშა იოკანოვიჩი (იუგოსლავია), ვლადიმირ იუგოვიჩი (იუგოსლავია), ლუბინკო დრულოვიჩი (იუგოსლავია), ალბერტ ნადი (იუგოსლავია), ერიკ მიუკლანდი (ნორვეგია), ერიკ ბაკე (ნორვეგია), ივ ვანდერჰეიგი (ბელგია), ემილ მპენზა (ბელგია), ტაიფუნ კორკუტი (თურქეთი), ოსმან ოზქოილუ (თურქეთი), იულიან ფილიპესკუ (რუმინეთი), ალან შირერი (ინგლისი), ბეტუ სევერუ (პორტუგალია), მიხაელ ბალაკი (გერმანია), კარსტენ იანკერი (გერმანია), სებასტიან დაისლერი (გერმანია), პაულო რინკი (გერმანია), ოლე გუნარ სოლსკიაერი (ნორვეგია), სერხი ბარხუანი (ესპანეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), იოვან სტანკოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ნიშა საველიჩი (იუგოსლავია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), მარსელ დესაი (საფრანგეთი), პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), იესპერ გრონკიაერი (დანია), სტიგ ტოფტინგი (დანია), მიკლოშ მოლნარი (დანია), მილან ფუკალი (ჩეხეთი), კარელ რადა (ჩეხეთი)

## ჩემპიონატზე დარჩა 6 ფეხბურთელი, ვისაც ნაკრებში 90 და მეტი მატჩი უთამაშია

| | |
|---|---|
| გეორგე ჰაჯი (რუმინეთი) | 124 |
| პაოლო მალდინი (იტალია) | 108 |
| გეორგე პოპესკუ (რუმინეთი) | 101 |
| დიდიე დეშამპი (საფრანგეთი) | 98 |
| ლორან ბლანი (საფრანგეთი) | 92 |
| დან პეტრესკუ (რუმინეთი) | 92 |

## ჩემპიონატზე დარჩა 9 ფეხბურთელი, ვისაც ნაკრებში 20 და მეტი გოლი გაუტანია

| | |
|---|---|
| დენის ბერხკამპი (ჰოლანდია) | 37 |
| გეორგე ჰაჯი (რუმინეთი) | 35 |
| ჰაქან შუქური (თურქეთი) | 28 |
| პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია) | 25 |
| იური ჯორკაეფი (საფრანგეთი) | 25 |
| სავო მილოშევიჩი (იუგოსლავია) | 24 |
| ფერნანდო იერო (ესპანეთი) | 23 |
| პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია) | 22 |
| ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი) | 21 |

### დარჩენილთაგან ყველაზე...

**ხანდაზმული**

ბერნარ ლამა (საფრანგეთი) . . . . დაიბადა 1963 წლის 7 აპრილს

**უმცროსი**

იკერ კასილიასი (ესპანეთი) . . . . დაიბადა 1981 წლის 20 მაისს

**მაღალი**

ედვარდ დე გუი (ჰოლანდია) . . . . 198 სმ

**დაბალი**

ფლორენტინ პეტრე (რუმინეთი) . . . . 167 სმ

# ვესიეს ხელიც დაადეს და ფულიც დააყარეს




ესპანელმა ალფონსომ (მარცხნივ) იუგოსლაველი გულშემატკივრი გაჟავა და ფრანგი მსაჯი დაიცვა

21 ივნისი

ევროპის ჩემპიონატის დღიური

ნორვეგიისა და სლოვენიის უინტერესო მატჩი 0:0 დასრულდა. ნორვეგიელი ფეხბურთელები მოედანზე დარჩნენ და თვალი პრესის ლოჟისკენ გააპარეს. ნორვეგიის ტელევიზიის კომენტატორი იოგების დაწყვეტამდე გაჰკიოდა: „არის, ჩვენ მეოთხედფინალში ვართ, ეს ისტორიული ამბავია!"

ამ ფრაზის დამთავრეა იყო და, ხუთი წუთის განმავლობაში კომენტატორიც და ფეხბურთელებიც ესპანელ ჟურნალისტთა განუწყვეტელი ხვევნა-კოცნის მოწმენი შეიქნენ. ნორვეგიელები არნემის სტადიონის გვირაბში გაუჩინარდნენ, მათთვის ცხადი გახდა, რომ ისინი განზე დარჩნენ, ხოლო მათი ადგილი ესპანეთმა დაიკავა.

ამ ამბის პარალელურად ბრიუგეს „იან ბრეიდელზე" ყველა ხარობდა, ესპანელიც და იუგოსლავიელიც. ერთმა მოიგო, მეორე — დამარცხდა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: მეოთხედფინალში ორივე გავიდა. ესპანელები უფრო ემოციურნი იყვნენ, რადგან ბოლო წუთზე მოახტნენ მეოთხედფინალისკენ მავალ ექსპრესს.

ესპანეთის წარმატება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ჯერ იყო და ნორვეგიამ და სლოვენიამ მატჩი ფრით დაასრულეს, რითაც იმ მომენტში იუგოსლავიასთან 2:3 ჩამორჩენილ ესპანეთს სამეოთხედფინალო იმედის ნაპერწკალი არ ჩაუქრეს. ნაპერწკლიდან სუსტი ალი ფრანგმა მსაჯმა ჟილ ვესიემ წამოანთო, როცა დამატებული დროის დასაწყისში ესპანელი აბელარდოს ნახტომი იუგოსლაველ გოვედარიცას უხეშობად ჩაუთვალა და პენალტი დადო. კოცონი კი დამატებული დროის ბოლო წუთზე აბრიალდა, როცა მოედანზე დარჩენილი ათივე იუგოსლაველი ჯოროვიჩად იქცა. ანუ, მთელი გუნდი გადაღლილი ჯორივით დადგა და ალფონსოს დარტყმული ბურთი თვალებითლა მიაცილა საკუთარ კარამდე.

იუგოსლავიას რა ენაღვლებოდა, ნორვეგია — სლოვენიის დამთავრებისთანავე თავი მეოთხედფინალში დაიგულა. ესპანეთი კი ცალკე ჩამორჩენას შეეჭირვებინა, ცალკე კი მთავარი მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს სტრატეგიულ-ტაქტიკურ ნაბოდვარს. კამაჩოს საბედნიეროდ და მისგან სრულიად დამოუკიდებლად, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. ამაში ყველაზე ნაკლები წვლილი კამაჩოს მიუძღვის, ხოლო ყველაზე მეტი — ზემოაღნიშნულ ფაქტორებს. თუმცა, კმარა! ესპანეთი გამარჯვებულია, გამარჯვებულის გასამართლება-განქიქება კი უმადური საქმეა.

ტრადიციულად: სავო მილოშევიჩმა კვლავ გაიტანა და მისმა გუნდმა კვლავ ათი კაცით დაასრულა მატჩი. იუგოსლავია თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებს უხეშობის რეკორდს — ამჯერად ხუთი ფეხბურთელი გაუფრთხილეს. სლავიშა იოკანოვიჩმა ორჯერ იხილა ცხვირწინ ყვითელი ბარათი და ნამატჩევს აღშფოთება ვერ დამალა: „გაძევებას არ ვიმსახურებდი. მეორედ უსაფუძვლოდ გამაფრთხილეს. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მსაჯი ჩამისაფრდა და ჩემი მცირეოდენი დარღვევის მოლოდინში იყო, რათა გავეძევებინე".

სდექ! ჩემი დღიური უკან გადავფურცლოთ და 17 ივნისის ჩანაწერებს ჩავხედოთ. ნახეთ, რას ამბობს რუმინელი გეორგე ჰაჯი: „ფრანგ მსაჯს დავალება ჰქონდა — რუმინელთა მეათე ნომერი აუცილებლად უნდა გაეფრთხილებინა, რაც მან შეასრულა კიდეც". საქმე ის გახლავთ, რომ იოკანოვიჩი და ჰაჯი ერთსა და იმავე პიროვნებაზე, ფრანგ მსაჯ ჟილ ვესიეზე ლაპარაკობენ.

ისე, ვესიემ კარგა გვარიანი შიში და ტკივილი ჭამა. იოკანოვიჩის გაძევებისთვანავე მას ერთი იუგოსლავიელი გულშემატკივარი მიეჭრა და ესპანელ გვარდიოლას რომ არ ეყოჩაღა, ერთ-ორს ნაღდად წაარტყამდა. პოლიციელებს გამოეპარათ იუგოსლაველის მოძრაობა, რადგან მას სტადიონის მომსახურე პერსონალის მსგავსი ფორმა ეცვა და სანამ მუშტების ქნევას არ მოჰყვა, ვერავინ მიხვდა, ვინ იყო. თამაშის დამთავრებისთანავე იუგოსლავიის დროშაშემოხვეული მეორე გულშემატკივარი მიუვარდა მსაჯს. ფრანგის ღირსება ისევ ესპანელმა დაიცვა — ალფონსოს გოლების გატანის გარდა მოჩხუბარის გაკავებაც კარგად შეძლებია. ახლოდან რომ ვერაფერი დააკლეს, იუგოსლავიელები შორიდან გაუსწორდნენ ვესიეს — მავანმა ტრიბუნიდან ლითონის მონეტა გაუქანა და შიგ თვალში გაარტყა. ეს ამბავი უეფას პრესატაშემაც დაადასტურა: „მსაჯს თვალში ლითონის მონეტა მოხვდა. მას სისხლი წასკდა, მაგრამ სერიოზულად არ დაშავებულა". უეფამ ცხელ გულზე მხოლოდ კომენტარი იკმარა, მაგრამ, საეჭვოა, ამას დასჯერდეს. ერთი სიტყვით, ის დროა, იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ ფული გაამზადოს — ჯარიმა არ აცდება.

მარცხის მიუხედავად იუგოსლავია დიდ სიხარულს მოუცავს. ხარობენ ბოსნიაში მცხოვრები სერბებიც. ნაკრების მეოთხედფინალში გასვლით აღფრთოვანებული სერბები ბოსნიის ქალაქ ბანია ლუკაში მანქანებით დაქროდნენ და იუგოსლავიის დროშებს აფრიალებდნენ. ბოსნიისავე ქალაქ ბრჩკოში კი სერბებმა მუსლიმების კუთვნილი სახლების და მანქანების ფანჯრები ჩალეწეს. თოთხმეტი კაცი დააკავეს.

„მერე რა, რომ შინ ვბრუნდებით. კარგად ვითამაშეთ, სამ მატჩში ოთხი გოლი გავიტანეთ და არ შევრცხვენილვართ" — სლოვენიის ნაკრების თავკაც სრეჩკო კატანეცს ვერავინ დასწამებს ლაჩარი გუნდის ყოლას. სლოვენიამ, რაც შეეძლო, გააკეთა და სამშობლოში თავაწეული ბრუნდება. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ზლატკო ზაჰოვიჩი კი ნორვეგიასთან მატჩის შემდეგ აცხადებს: „ნორვეგია ფეხბურთს არ თამაშობდა. ისინი მეოთხედფინალში გასვლას არ იმსახურებდნენ". მირან პავლინის აზრი კი ამგვარია: „იუგოსლავიამ მოგვცა მეოთხედფინალში გასვლის შანსი, მაგრამ ჩვენ ვერ გამოვიყენეთ. დღეიდან იუგოსლავიელებს ვუქომაგებ".

ნორვეგიელთა მწვრთნელ ნილს იოჰან სემბს კი ენა ჰქონდა დაბმული: „რა მნიშვნელობა აქვს, რას ვიტყვი... განადგურებული ვარ. მეოთხედფინალში გავედით, მერე კი გამოვვარდით". სიმართლე ითქვას, ნორვეგია ნაკლებად იყო მომდევნო ეტაპზე გასვლის ღირსი, ყოველ შემთხვევაში, ჯგუფური ეტაპის ერთი გოლით დასრულება დიდი პრეტენზიის მქონე გუნდისთვის ნამეტანია. ის გოლიც... ესპანელთა კარში მოლინას გარდა ნებისმიერი რომ მდგარიყო, ისიც არ გავიდოდა. ნორვეგიელთაგან სიტუაცია ყველაზე რეალურად ერიკ მიუკლანდმა შეაფასა: „გამოვვარდით მხოლოდ საკუთარი შეცდომების გამო. ვერ ვივარგეთ, ცუდად ვითამაშეთ და ერთ გოლზე მეტი ვერ გავიტანეთ. ესპანეთმა კი, რომ დასჭირდა, ზედიზედ ორჯერ შეაგდო. ისე, ესპანელთა მხრიდან ამის გაკეთება შეუძლებელი მეგონა".

მერე რა, რომ ჰოლანდია — საფრანგეთის მატჩს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მერე რა, რომ საფრანგეთმა ერთბაშად ცხრა სათადარიგო გამოიყვანა. ამსტერდამის „არენაზე" დადებული სანახაობა მოეწყო. ჰოლანდიამ 1981 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა საფრანგეთი, ხოლო გამარჯვებულთა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა მეტოქეზე თქვა: „ისინი მსოფლიოს ჩემპიონები ორი წლის წინ გახდნენ, მაგრამ ახლა უფრო ძლიერები არიან". ფრანგთა მწვრთნელი როჟე ლემერი კი ძალზე სიტყვაძუნწი იყო: „წაგებით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ჩემი გუნდის თამაში მომეწონა, საერთოდ, შესანიშნავი მატჩი იყო". თუ დააკვირდით, ლემერს მთელი მატჩის განმავლობაში გამომეტყველება არ შეცვლია. მასზე არც შეგირდთა გატანილმა გოლებმა იმოქმედა და არც საკუთარ კარში მიღებულმა. თუმცა, როგორ უნდა მოსთხოვო ემოციების გადმოფრქვევა იმ კაცს, რომელმაც ორი დღის წინ მამა დაასაფლავა?

ჩეხეთმა ლიეჟის „შლესენზე" ევრო 2000-თან ხმაურიანი გამოთხოვება მოაწყო: შმიცერის ორი გოლით აქამდე ორჯერ ნაგვემ დანიას სანოკაუტო ამოსცხო. მართლაც რომ ბრმაა კენჭისყრა, თორემ რაღა ჩეხეთი შეაგდო ამ „სიკვდილის ჯგუფში". ევროპის აწ უკვე ექს-ვიცე-ჩემპიონებიც ღირსების შეულახავად ტოვებენ ბენილუქსს. რატომღაც მგონია, რომ სხვა ჯგუფში ჩეხთა მამაც ნაკრებს სერიოზული პრობლემები არ გაუჩნდებოდა. დანიას კი მაინც არაფერი ეშველებოდა, გინდა მთლად სამოთხეში დაესვათ.

ჯანდაბას გადამთიელები და ძალიან მეშინია შაბათს, 24 ივნისს იმავე „შლესენზე" კიდევ ერთი ნოკაუტი არ დაფიქსირდეს: ლიეჟის „სტანდარდის" ბავშვები თბილისის „დინამოს" ელიან.




დანიელ სტიგ ტოფტინგს და ჩეხ ვლადიმირ შმიცერს კრივი არ გაუჩაღებიათ, თუმცა ტოფტინგის გუნდს ნოკაუტი არ ასცდა



## გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის აზრი

იუგოსლავია — ესპანეთი და საფრანგეთ — ჰოლანდია ისეთი საცქერი გამოდგა, კაცი ვერ მოსწყდებოდა, ამიტომაც ამ მატჩების პარალელურად მიმდინარე შეხვედრებს თვალი ველარ ვადევნე და ჩემს აზრს მხოლოდ მეოთხედფინალისტთა თამაშზე მოგახსენებთ.

C ჯგუფიდან პლეი ოფში გასული იუგოსლავიის და ესპანეთის მატჩში უშელავათო ბრძოლა, სასიამოვნო, მაღალტექნიკური, სწრაფი და დრამატიზმით აღსავსე თამაში ვიხილეთ.

იუგოსლავიელები სამჯერ დაწინაურდნენ და მათ რომ მოეგოთ, ესპანელებს შინ გაუშვებდნენ, მაგრამ ანგარიში სამჯერვე გათანაბრდა და საბოლოოდ სულაც ესპანეთმა გაიმარჯვა.

წინა მატჩებთან შედარებით, უკეთესი იყო თანდათან უფრო შეთამაშებული იუგოსლავია, მაგრამ ზედიზედ მესამედ კაცნაკლული დარჩა, ასე მოგება ან არწაგება კი, რაც წინა ორ შემთხვევაში შეძლო, იოლი სულაც არ არის.

გასაოცარი ფსიქოლოგიური მზადყოფნა, შესაშური მონდომება და გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინეს ესპანელებმა, რომლებიც ძირითადი დროის გასრულებას წაგებულნი შეხვდნენ და ანგარიშის გათანაბრებაც და საბოლოოდ მოგებაც არბიტრის ნამატებულ წუთებში მოახერხეს.

ჯერ მცველი აბელარდო ჩაერთო შეტევაში (ძალიან ეფექტურია მცველის აქტიური წინსვლა), მეკარის მოგერიებულ ბურთთან პირველი რაული გაჩნდა და... პენალტი (მართალია, საეჭვო) აბელარდოს წაქცევისთვის, რომელიც მენდიეტამ გამოიყენა. გამარჯვების გოლი კი ალფონსომ დამატებული დროის ბოლო წუთზე გაიტანა.

ესპანეთს უფრო მოგების უსაზღვრო სურვილმა გაამარჯვებინა, ვიდრე კამაჩოს ტაქტიკურმა გადაადგილებებმა. მწვრთნელის სწორი სვლების დროსაც კი გამართლების მომენტი აუცილებელია.

არანაკლებ ეფექტური გამოდგა D ჯგუფის საფრანგეთ — ჰოლანდიის მატჩი და ეს იმის მიუხედავად, რომ ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა ძირითადი შემადგენლობის 6 ფეხბურთელი დაასვენა. ფრანგთა სათამაშო სისტემა შეცვლების მიუხედავად იგივე დარჩა. ორივე გუნდმა 4-4-2 გამოიყენა. ჩვენ კვლავ მაღალი დონის ფეხბურთი ვიხილეთ ჩემპიონატის ორი ფავორიტის შესრულებით. ვნახეთ მოთამაშეთა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, მოჭარბებული ბრძოლის ჟინი, ფსიქოლოგიური სიმტკიცე, კარგი ფიზიკური მომზადება, მაღალტექნიკურობა, უმაღლესი დონის აზროვნება, გამუდმებული მოძრაობა და ორი, ფაქტობრივად, თანაბარი შემადგენლობა. აი, ყველაფერი ის, რაც საფრანგეთსა და ჰოლანდიას იტალიასთან ერთად ჩემპიონატის სხვა მონაწილეებისგან გამოარჩევს.

საფრანგეთ — ჰოლანდიის მატჩში 5-დან 3 გოლი ისევ სტანდარტულ მდგომარეობებს მოჰყვა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ფეხბურთში წინასწარ დამუშავებულ კომბინაციათა დიდ მნიშვნელობას.

ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის 65 გოლიდან თითქმის მესამედი, 21, სწორედ სტანდარტული მდგომარეობებიდან გავიდა, რაც საბოლოო ჯამში შედეგიანობას ამაღლებს. 65 გოლი 24 მატჩში საშუალოდ 2,70-ია.



გოჩა ტრაპაიძე (შუაში)



ჯონი შალამბერიძე

ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები

# უკანასკნელი გაფრთხილება დინამოს

ზუსტად ერთ კვირაში დასრულდება ქართული ფეხბურთის ყველაზე ხმაურიანი და ხანგრძლივი სკანდალი. ფიფა ერთ კვირასაც მოიცდის, თავის მხრივ, „მრეტებიც“ იძულებულია, მოიცადოს, ხოლო თუ „დინამომ“ რამდენიმე დღეში იგი სანახევროდ მაინც არ დააკმაყოფილა...

ახლა ძნელი სათქმელია, რა მოელის თბილისის „დინამოს“, თუ 150 ათასი დოლარი დროულად არ იშოვა. ფიფა TBC ბანკი არ არის და არც ნაცნობ-მეგობრობა ჭრის მსოფლიოს ფეხბურთის უმაღლეს ინსტანციასთან. ფიფას ვერც დილმის საწვრთნელი ბაზით დააინტრიგებ და ვერც დაშლის პირას მდგარ თბილისის „დინამოთი“.

არადა, რა უნდოდა ორი ქართველი კლუბის სადაო საქმეს ფიფაში?! არც არაფერი, მავანი ფიქრიანი და ემოციებს აყოლილი რომ არ ყოფილიყო. ჯერ იყო და ძველმა ფედერაციამ ვერ მოაბა ამ საქმეს თავი. უფრო სწორად, მოსწყინდა „კუკუმალობანა“ და კატეგორიულად შემოთვალა, 2000 წლის 31 მაისამდე ვიცდით, მერე რაც მოგივათ თავს დააბრალეთო.

შეფუცხუნდა „დინამო“, შეკრთა ფედერაცია და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ფიფას ფაქსი აახლეს, „დინამო“ აღიარებს ფიფას და „მრეტების“ ვალებს, ახლა ფინანსურად გვიჭირს და იქნებ ცოტაც გვადროვოთო.

ფიფა, ეტყობა, ამდენმა ხვეწნა-მუდარამ და გაუთავებელმა უმოქმედობამ დაღალა. თანაც, გასაკვირიც კია, მაგრამ „დინამო“ მთლად გასაწირად არ ემეტება, თუმც მეტად გაბრაზებული და კატეგორიულია.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფაქსი მიიღო. ფიფას ტრანსფერთა სტატუსის კომიტეტის ხელმძღვანელი ჯანპაოლო მონტენერი თავაზიანად და გარკვევით იტყობინება:

„ფიფამ მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფაქსი. ჩვენთვის ცნობილია თბილისის „დინამოს“ მძიმე ფინანსური მდგომარეობა, მაგრამ დროც საკმარისი იყო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

„დინამო“ ვალდებულია, 30 ივნისამდე „მრეტებს“ 150 ათასი დოლარი გადაუხადოს. დანარჩენი 150 ათასი კი 30 სექტემბრამდე უნდა დაფაროს.

თუ „დინამო“ ამ მითითებას არ შეასრულებს, მაშინ ფიფა უყოყმანოდ მიმართავს მკაცრ სანქციებს.“



TELEFAX
Georgian Football Federation
Mr. Valeri Cholaria
General Secretary

FIFA
For the Good of the Game

Zurich, 21 June 2000
clu

Player Giorgi Kinkladze
(Mrettebi Tbilisi FC, Georgia / Dinamo Tbilisi FC, Georgia / Manchester City FC, England)

Dear Sir,

We revert to the matter of the reference and would like to inform you of the correspondence received from your affiliated club Mrettebi Tbilisi FC, copy of which you can find attached for your perusal.

Equally, we would like to inform you that we have taken due note of difficult financial problems your club Dinamo Tbilisi is undergoing, as outlined in your fax of 12 June 2000. We kindly ask you to forward a copy of this correspondence to Mrettebi Tbilisi FC, for their information.

Although we understand the problematical situation of your club, we must insist on the prompt payment of the amount owed to Mrettebi Tbilisi FC of USD 300,000, as decided by the FIFA Body of Appeal on 24 March 2000. This is particularly important when taking into consideration the length of time the club Mrettebi Tbilisi FC has been waiting for the said payment.

Consequently, Dinamo Tbilisi FC is instructed to pay the amount of USD 150,000 by 30 June 2000, at the very latest. The remaining USD 150,000 must be paid to Mrettebi Tbilisi by no later that 30 September 2000. We shall no hesitate to impose severe disciplinary sanctions on Dinamo Tbilisi FC, if these instructions are not carried out with the utmost punctuality.

We thank you for taking note of the above and for informing your clubs accordingly.

Yours faithfully,
FIFA

Gianpaolo Monteneri
Head of Players' Status
Legal Services

სიმართლეც კარგად იცოდა, მაგრამ თვალი არ გაუსწორა.

ვინ არ ჩაერია „მრეტებ“ — „დინამოს“ დავაში, ფეხბურთის ფედერაცია და მისი ალმასკომი, შინაური და გარეული, სამოქალაქო სასამართლო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქუჩაშიც კი გაირჩა ეს საქმე.

ქართველებმა იმდენი მოახერხეს, რომ საქმეში ფიფა ჩაერია. არადა, აქეთ, „იხვეწებოდნენ“ ფიფაც და უეფაც ერ-თი ქვეყნის ორი კლუბი ხართ, თქვენი დავა თავადვე გადაწყვიტეთ, არაფერში ჩავერევით, მხოლოდ საქმის საბოლოო არსი მოგვახსენეთო.

არ დაადგა ამათ საშველი. სანამ „დინამო“ ფინანსურად წელგამართული იყო, ვალის გადახდა არავის გახსენებია. ახლა სალაროში თეთრიც რომ არ უჭყავის, რისი გადამხდელია.

თავიდან „მრეტები“ „დინამოსგან“ მილიონ ექვსასი ათას დოლარს მოითხოვდა. ეს სწორედ ნახევარია იმ თანხისა, რაც „დინამომ“ „მანჩესტერ სიტისგან“ გიორგი ქინქლაძის სანაცვლოდ მიიღო. მერე ეს თანხა ჯერ შემცირდა, ისევ გაიზარდა და ასე ვაჭრობდა ორი ქართული კლუბი, სანამ ფიფამ საბოლოო ვერდიქტი არ გამოაცხადა. კომპენსაციის სახით 300 ათასი „მრეტებს“, ხოლო 20 ათასი მე, „დინამომ“ სარჩელი სამოქალაქო სასამართლოს რად გაარჩევინაო.

„დინამოს“ ფულის გადასახდელად არაერთი ვადა დაუთქვეს. მერე ფიფას

უკანასკნელი გაფრთხილება მიღებულია, რომელიც არანაირ კასაციას არ ექვემდებარება. ფაქსში არაფერია ნათქვამი ფიფასთვის გადასაცემ 20 ათასზე, თუმც ეს ისეთი მიზერული თანხაა, რომ ეტყობა, მსოფლიოს ფეხბურთის უმაღლესი ინსტანციის სალაროს არც დააკლდება და არც მიემატება. თუმც, მაინც აუცილებლად გადასახდელია.

რა იგულისხმება ფიფასეულ მკაცრ სანქციებში, ჯერაც უცნობია. სასჯელის სხვადასხვაგვარი სახეობები არსებობს. მოკვეთა ევროგათამაშებიდან, რანგით ჩაქვეითება შინაურ ჩემპიონატში და სხვა. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ფული მაინც გადასახდელი იქნება.

ისლა დაგვრჩენია, 30 ივნისს დაველოდოთ. იმედია, „დინამო“ 150 ათას დოლარს იშოვის. ეს საჩქაროა. არადა, ღმერთმა დაიფაროს „დინამო“ ფიფას რისხვისაგან.

**მამუკა ძგანტალიანი**

# სიმფეროპოლი: ახალი სავანე

## ფოთის კოლხეთის წამყვანმა ტრიომ ტავრიას მიაშურა

ფოთის „კოლხეთი“ გუშინ სამმა ფეხბურთელმა ოფიციალურად დატოვა. ბოლო წლებში ზღვისპირელთა წამყვან ფეხბურთელებად აღიარებულმა ჯონი შალამბერიძემ, გოჩა ტრაპაიძემ და ზაველ ღაღანიძემ სიმფეროპოლის „ტავრიას“ მიაშურეს და ამიერიდან სწორედ ამ უკრაინული კლუბის ღირსებას დაიცავენ.

სიმფეროპოლელებს ჩვენებური ეროვნულ ჩემპიონატში „ბათუმის“ წინააღმდეგ მატჩში მოსწონებიათ და მათი გადაყვანაც მაშინ განუზრახავთ.

ღაღანიძისა და ტრაპაიძის შესახებ ადრეც გაუწყეთ. ეს ფეხბურთელები სიმფეროპოლს გასასინჯად საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაემგზავრნენ და, როგორც ჩანს, იქაური კლუბის მწვრთნელებსაც თავი მოაწონეს.

„ტავრიას“ თავკაცობა ქართულ დუეტს არ დასჯერდა და მესამე კოლხის ჯონი შალამბერიძის გადაბირებაც განიზრახა.

„ყველაფერი გადაწყვეტილია. ღაღანიძე და ტრაპაიძე „ტავრიასთან“ რამდენიმეწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. შალამბერიძეს კი ჯერ მხოლოდ ორი თვით გავანათხოვრებთ, მერე კი ვნახოთ, შეიძლება მეტი ხნითაც დარჩეს“ — უთხრა გუშინ „სარბიელს“ „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ.

მისი თქმით, სატრანსფერო თანხაზე კონკრეტულად ჯერ არაფერი თქმულა, ეს და სხვა დეტალები 25-26 ივნისს გაირკვევა, როცა სიმფეროპოლში ფოთელთა ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა ჩავა, სავარაუდოდ კი „კოლხეთმა“ ამ ტრიოს სანაცვლოდ 30 ათასი ამერიკული დოლარი უნდა მიიღოს.

ცნობისათვის, სამშაბათს დასრულებულ უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში „ტავრიამ“ მე-13 ადგილი დაიკავა და პირველ ლიგაში გავარდნას ძლივს გადაურჩა, დაქვეითებულ „პრიკარპატიეს“ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით აჯობა.

ცხადია, ამ ფეხბურთელების წასვლამ „კოლხეთი“ უფრო დაასუსტა, ამიტომ კლუბის თავკაცი გია ტყებუჩავა მათ შემცვლელებს ეძებს.

„ალბათ, სამ ახალ ფეხბურთელს ავიყვანთ, თავდამსხმელს, ნახევარმცველსა და მეკარეს“ — თქვა ამასთან დაკავშირებით ქოიავამ, თუმცა მათი ვინაობა არ გაუმხელია, ჯერჯერობით სასურველი მოთამაშეები არ შეგვირჩევიაო, გვიპასუხა.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ივნისის დასაწყისში გავრცელებული ხმები „კოლხეთს“ მეკარე ზურაბ ქვაჩახია, მცველები გიორგი დავითნიძე და მიხეილ ქობულაძე და თავდამსხმელი ელდარ გვასალიაც ტოვებენო ჯერჯერობით გაზვიადებული აღმოჩნდა.

ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ოთხივე ფეხბურთელი გუნდშია.

„კოლხეთი“ 20 ივნისს შეიკრიბა. ტყებუჩავა ფეხბურთელებს გუნდის მომავალ გეგმებზე დაელაპარაკა და ახლა ხუთი დღე კიდევ ასვენებს. 25 ივნისიდან ფოთელები მეთორმეტე ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგებიან.

„უცხოურ შეკრებას წლეულს ალბათ ვერ მოვაწყობთ. გვირჩევნია, მოსამზადებელი ციკლი აქ გავიაროთ, უფრო იაფი დაგვიჯდება. შეკრების ადგილი ჯერ არ დაგვიდგენია, არ არის გამორიცხული, გუნდმა მარტო ფოთში ივარჯიშოს“ — აღნიშნა საუბრის დასასრულს თენგიზ ქოიავამ.

**ვანო ოქროპირიძე**



ზაველ ღაღანიძე


სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- [illegible]სული თამაშის მიმოხილვა
- სა[illegible]ბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბო[illegible]ოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“



არ გეგონოთ, ვალტერ გუჩუა ბელგიაში „სტანდარდთან“ მიღებული ტრავმის გამო არ მიდის, „დინამოს“ უფულობის გამო გაებუტა

# ბელგია დინამოს ბედისწერა

## მურთაზ შელია და ვალტერ გუჩუა ექსჩემპიონს დაემდურნენ

დღეს დილით საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „დინამო“ ამსტერდამს ესტუმრება, იქიდან კი სამიოთხი საათის შემდეგ ბელგიურ ლიეჟს. ჩვენებურები კვირას, ნაშუადღევს, ლიეჟის „სტანდარდის“ სათადარიგო შემადგენლობას უნდა დაუპირისპირდნენ ინტერტოტოს გათამაშების პირველი ეტაპის საპასუხო მატჩში.

„დინამოს“, როგორც ამ ბოლო დროს, პრობლემები არც ახლა აკლია: გუნდთან ერთად არ იქნებიან მცველები — ვალტერ გუჩუა და მურთაზ შელია. როგორც შევიტყვეთ, ისინი ფინანსურად დაუკმაყოფილებლები არიან და ამის გამო არ აპირებენ „სტანდარდთან“ თამაშს. დანარჩენები კი...

*სოსო გრიშიკაშვილი, ალექსანდრე ჩიხრაძე; გიორგი შაშიაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, რევაზ ქემოკლიძე, არჩილ სახვაძე; ლადო ბურდული, თენგიზ სიჭინავა, გიორგი ანჩაბაძე, რევაზ არველაძე, ლაშა მონასელიძე, გიორგი გაბიდაური, დავით დათუაძე; გიორგი შენგელია, ზაზა ზირაქიშვილი, კახა გოგოლაძე, მიხეილ ბობოხიძე, გიორგი მიქაძე* გაემგზავრებიან ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელ ქვეყანაში.

შეგახსენებთ, „დინამომ“ გასულ კვირას „სტანდარდთან“ თბილისში 2:2 ითამაშა.

ქობა ინასარიძე

*გუშინწინ სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უმაღლეს ჩემპიონატში მონაწილე კლუბების პრეზიდენტებს უმასპინძლა. ჩვენში ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ბევრიც არ დარჩენილა და, ბუნებრივია, სფფ-ც ამთავითვე ცდილობს თავისი პროგრამა-მოთხოვნები კლუბებს წარუდგინოს. გუშინწინდელ მუშა-შეხვედრას „დინამოს“, „იბერიას“ და „გორდას“ პრეზიდენტები ქკლდნენ.*

# გორდას ბედი სასამართლოში ირკვევა

როგორც ჩანს, სამტრედიული და თბილისური კლუბების თავკაცებმა დაგროვილი პრობლემების გამო ვერ მოიცალეს, რაც შეეხება რუსთაველებს, მათ ძალიანაც რომ მოენდომებინათ, პრეზიდენტს მაინც ვერ წარადგენდნენ სფფ-ში. მიზეზი მარტივია. „გორდას“ დღესდღეობით პრეზიდენტი არ ჰყავს. რუსთაველთა განმარტებით ვალერი ქოქიაშვილი ოფიციალურად აღარ ითვლება კლუბის პრეზიდენტად, მის ადგილზე კი ჯერაც არავინ დაუნიშნავთ.

ადრეც ბევრჯერ გვითქვამს, რომ „მეფოლადეები“ სერიოზულ ცვლილებებს ელოდნენ. ლაპარაკი იყო „გორდაში“ მძლავრი, სოლიდური სპონსორის მისვლაზე. კანდიდატი მართლაც ღირსეული გახლდათ — სააქციო საზოგადოება „აზოტი“.

დღე-დღეზე ოფიციალური ხელშეკრულებაც უნდა გაფორმებულიყო და, როგორც ხშირად ხდება, პრობლემამ წამოყო თავი. აღმოჩნდა, რომ სტადიონი „ფოლადი“ სადაც „გორდა“ საშინაო მატჩებს ატარებს, აუქციონის წესით უნდა გაყიდულიყო.

„ფოლადი“ მეტალურგიული ქარხნის კუთვნილებაა, ქარხნის, რომელსაც ბიუჯეტის დიდი ვალი აქვს. „ფოლადიც“ ამ ვალის გარკვეული ნაწილის დაფარვას უნდა შესწირვოდა.

ბუნებრივია, ს.ს. „აზოტმა“ სტადიონის გარეშე დარჩენილი გუნდის სპონსორობისგან თავი შეიკავა და დახმარებისთვის ქალაქის მერიას მიმართა.

„გორდას“ ფეხზე დაყენების მოსურნეთ ხელჩასაჭიდი მართლაც ჰქონდათ — კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებრივი ნაგებობები აუქციონის წესით არ იყიდება.

„აზოტს“ სრული უფლება ჰქონდა, იჯარით შეესყიდა „ფოლადი“ რამდენიმე წლით. ქალაქის ხელმძღვანელობის ამ დავაში ჩარევამ ის შედეგი გამოიღო, რომ მეტალურგიული ქარხნის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა სასამართლოში, თუმც კანონმდებლებმა საბოლოო ვერდიქტის მიღება ერთობ გააჭიანურეს.

წესით და რიგით, ბოლო სხდომა 20 ივნისს უნდა გამართულიყო და გორდელებიც იმედით ელოდნენ ამ დღეს, მაგრამ პროცესი ისევ გადაიდო და „გორდაც“ ჯერჯერობით ჰაერშია გამოკიდებული. ასეთი მდგომარეობა კი რუსთავულ კლუბზე უარყოფითად მოქმედებს.

ჯერაც არ არის ცნობილი, თუ გუნდი როდის დაიწყებს მზადებას, გასარკვევია კლუბიდან წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც და ფაქტობრივად „გორდას“ მომავალიც. ცნობილია, რომ სფფ მეთორმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან მყარ ფინანსურ გარანტიას და გარკვეული მოთხოვნების შესრულებას ითხოვს. რუსთაველებს კი ჯერჯერობით იმ კითხვაზეც არა აქვთ პასუხი — შეძლებენ თუ არა გუნდის შენარჩუნებას.

პაატა ქვანტალიანი

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| ტორპედო *დავით ყიფიანი* | ბობოხიძე (დინამო), ვაჩიბერაძე (ლოკომოტივი), იმედაძე (დინამო, კიევი, უკრაინა) | | 20 ივნისიდან ქუთაისში ვარჯიშობს. მოგვიანებით 10 დღით თბილისში, მერე კი ესტონეთში შეიკრიბება |
| ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე* | | სულთანიშვილი (დილა), ჭილლაძე (ს.ა. იბერია) | 19 ივნისიდან მცხეთაში ვარჯიშობს. 22 ივნისს ორი კვირით ბაკურიანში შეიკრიბება, 13 ივლისიდან 1 აგვისტომდე გერმანიაში შეიკრიბება |
| დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე* | დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხიზანეიშვილი (კრივბასი, უკრაინა), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან), | ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2 25 ივნისს ინტერტოტოს თასზე „სტანდარდს“ სტუმრობს |
| ბათუმი *ჯანი კარნეველი* | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე (?) | ო. გველესიანი (დინამო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი) | 7 ივნისიდან შვებულებაშია 3 ან 4 ივლისს ბათუმში შეიკრიბება |
| კოლხეთი *გია ტყებუჩავა* | შალამბერიძე, ღალანიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი) | | 21 [illegible]იდან ფოთში ვარჯიშობს |
| სიონი *სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ვ. მაისურაძე (?) | | 26 ივნისს ბოლნისში შეიკრიბება |
| იბერია *სოსო ფრუიძე* | ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ქვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი) | | |
| დილა *მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოქლაშვილი (მწვრთნელი) | მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | 21 ივნისიდან გორში ვარჯიშობს |
| მერანი *სერგო გაბელაია* | | | 1 ივნისიდან შვებულებაშია. 25 ივნისს თბილისში შეიკრიბება, თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კი რუსეთში ან უკრაინაში მოემზადება |
| ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი* | ასლანიძე, ნიკურაძე (?, ისრაელი) | ვაჩიბერაძე (ტორპედო), ქვანია, ნაროუშვილი (იბერია), ზურაბ აიანადი (ხობი) | 17 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს. 25 ივნისიდან ბორჯომში მოემზადება |
| თსუ *თენგიზ კაცია* | ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ) | | 12 ივნისიდან შვებულებაშია 26 ან 27 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება |
| გორდა *იასონ ალადაშვილი* | | | 1 ივნისიდან შვებულებაშია |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის**

# 51, 193 და პირველად სან მარინო

## დღეს ჟენევაში 2000-01 წლების ევროთასების კენჭისყრაა

ერთი კვირის წინათ ვწერდით, 2000-2001 წლების ევროპული საკლუბო სეზონი იწყებაო. ინტერტოტოს თასი რა მოსატანია, მაგრამ... ნამდვილი ევროპული საკლუბო სეზონი დღეს იღებს სათავეს.

დღეს შვეიცარიაში, კერძოდ, ჟენევის სასტუმრო „ნოგა ჰილტონში", თბილისის დროით დღის 3 საათზე, უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველ წყვილებს გვამცნობს.

სავარაუდოდ, ვინ შეხვდება საქართველოს ახალ ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე და ვინ თბილისურ „ვიტ ჯორჯიას" და „ლოკომოტივს" უეფას თასზე, დღესვე გაირკვევა.

სულ კი ევროპულ საკლუბო ფერხულში, ორივე ტურნირის ჩათვლით, 51 ქვეყნის 193 კლუბი ჩაერთვება. ეს სეზონი ერთი რამითაც გამოირჩევა. უეფას ერთ-ერთ უძველეს წევრს, სან მარინოს გუნდი პირველად ეყოლება. გახსოვთ, ოდესმე ამ ჯუჯა სახელმწიფოს კლუბს ევროთასებზე ეთამაშოს? ეს არასოდეს მომხდარა, ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ახლა ამისთვისაც „მოიცალა" და უეფას თასზე სან მარინოს ჩემპიონიც მოსინჯავს ძალას.

რაღა რჩება, რამდენიმე საათიც და...

ჩემპიონთა ლიგის ფორმატი ისეთივე დარჩა, როგორიც შარშან იყო. ბოლო გათამაშების ტრიუმფატორი და, ალბათ, საუკუნის მსოფლიოს საკლუბო გუნდი მადრიდის „რეალიც" აქაა, ბოლო ესპანური ჩემპიონატის მეხუთე გუნდმა, სეხნია „სარაგოსას" დაათმობინა გზა.

ორივე ტურნირის — ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის სისტემას მერვე გვერდზე გაეცნობით.

| უეფას თასი — საკვალიფიკაციო (3 გუნდი Fear Play-იდან) | უეფას თასი — პირველი ეტაპი (3 გუნდი ინტერტოტოდან) | | UEFA | | ჩემპიონთა ლიგა — ჯგუფური ეტაპი | ჩემპიონთა ლიგა — III საკვალიფიკაციო ეტაპი | ჩემპიონთა ლიგა — II საკვალიფიკაციო ეტაპი | ჩემპიონთა ლიგა — I საკვალიფიკაციო ეტაპი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პარმა, რომა, ფიორენტინა | 3 | იტალია | 4 | ლაციო, იუვენტუსი | მილანი, ინტერი | | |
| რაიო ვალეკანო | ესპანიოლი, სარაგოსა, ალავესი | 4 | ესპანეთი | 4 | რეალი, დეპორტივო, ბარსელონა | ვალენსია | | |
| | ვერდერი, კაიზერი, ჰერტა | 3 | გერმანია | 4 | ბაიერნი, ბაიერი | ჰამბურგი, მიუნხენი | | |
| | ნანტი, გენიონი, ბორდო | 3 | საფრანგეთი | 3 | მონაკო, პსჟ | ლიონი | | |
| | როდა, ვიტესი, აიაქსი | 3 | ჰოლანდია | 3 | პსვ, ჰერენვენი | ფეიენოორდი | | |
| | ჩელსი, ლესტერი, ლივერპული | 3 | ინგლისი | 3 | მანჩესტერი, არსენალი | ლიდსი | | |
| | ცსკა, ტორპედო, დინამო, ალანია | 4 | რუსეთი | 2 | სპარტაკი | ლოკომოტივი (მოს.) | | |
| | აეკ, ოფი, პაოკ, ირაკლისი | 4 | საბერძნეთი | 2 | ოლიმპიაკოსი | პანათინაიკოსი | | |
| ბოავიშტა | ბენფიკა | 2 | პორტუგალია | 2 | სპორტინგი | პორტუ | | |
| დრნოვიცე | ლიბერეცი | 2 | ჩეხეთი | 2 | | სპარტა | სლავია | |
| რაპიდი (ვენა) | გრაცერი | 2 | ავსტრია | 2 | | ტიროლი | შტურმი | |
| აკადემისკი | ვიბორგი | 2 | დანია | 2 | | ჰერფიოლგე | ბრონდბიუ | |
| რიეკა | ოსიეკი | 2 | ხორვატია | 2 | | დინამო (ზაგრები) | ჰაიდუკი | |
| გაზიანთეფსფორი | ანთალიასფორი | 2 | თურქეთი | 2 | | გალათასარაი | ბეშიქთაში | |
| ვორსკლა | კრივბასი | 2 | უკრაინა | 1 | | დინამო (კიევი) | შახტარი | |
| ლოზანა, ბაზელი | ციურიხი | 3 | შვეიცარია | 1 | | სენტ გალენი | | |
| მიოლდე, ლილესტრიომი | ბრანი | 3 | ნორვეგია | 2 | | | რუსენბორგი | |
| ბრიუგე, გენტი, ლიერსი | გენკი | 4 | ბელგია | 1 | | | ანდერლეხტი | |
| იორგრიტე, აიკ, ჰალმსტადი, ნორჩიოპინგი | | 4 | შვედეთი | 1 | | | ჰელსინგბორგი | |
| ამიცა, ვისლა, რუხი | | 3 | პოლონეთი | 1 | | | პოლონია | |
| აბერდინი, სელტიკი, ჰარტსი | | 3 | შოტლანდია | 1 | | | გლაზგო რეინჯერსი | |
| უნივერსიტატეა, რაპიდი (ბუქარესტი) | | 2 | რუმინეთი | 1 | | | დინამო (ბუქ.) | |
| მტკ, ვაშაში | | 2 | უნგრეთი | 1 | | | დუნაფერი | |
| კოშიცე, სლოვანი | | 2 | სლოვაკეთი | 1 | | | ინტერი | |
| ომონია, აპოელი | | 2 | კვიპროსი | 1 | | | ანართოსისი | |
| ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია | | 2 | საქართველო | 1 | | | ტორპედო | |
| ბეითარი, მ. ჰაიფა | | 2 | ისრაელი | 1 | | | ჰაპოელი (თელ ავივი) | |
| ოლიმპია, ნოვა გორიცა | | 2 | სლოვენია | 1 | | | მარიბორი | |
| სლავია, გომელი | | 2 | ბელარუსი | 1 | | | | ბატე |
| იოკერიტი, ჰიკ | | 2 | ფინეთი | 1 | | | | ჰაკა |
| ნარპედაკი, პარტიზანი | | 2 | იუგოსლავია | 1 | | | | ცრვენა ზვეზდა |
| ნეფტოხიმიკი, ცსკა | | 2 | ბულგარეთი | 1 | | | | ლევსკი |
| მეტალურგსი, ვენტსპილსი | | 2 | ლატვია | 1 | | | | სკონტო |
| ?, ვესტმანაეიარი | | 2 | ისლანდია | 1 | | | | რეიკიავიკი |
| პობედა, რაბოტნიჩკი | | 2 | მაკედონია | 1 | | | | სლოგა |
| ეკრანასი, ჟალგირისი (ვილნიუსი) | | 2 | ლიტვა | 1 | | | | ჟალგირისი (კაუნასი) |
| კონსტრუქტორული, შერიფი | | 2 | მოლდოვა | 1 | | | | ზიმბრუ |
| ტულევიკი, ფლორა | | 2 | ესტონეთი | 1 | | | | ლევადია |
| მიკა, არარატი | | 2 | სომხეთი | 1 | | | | შირაქი |
| ?, კოლრეინი | | 2 | ჩრდ. ირლანდია | 1 | | | | ლინფილდი |
| დერი სიტი, კორკ სიტი | | 2 | ირლანდია | 1 | | | | შელბურნი |
| ბანგორ სიტი, ბერი თაუნი | | 2 | უელსი | 1 | | | | ლანსანტფრეიდი |
| ?, სლიმა | | 2 | მალტა | 1 | | | | ბირკირკარა |
| ?, გი გოტუ | | 2 | ფარერები | 1 | | | | კლაქსვიკი |
| ტეუტა, ტომორი | | 2 | ალბანეთი | 1 | | | | ტირანა |
| ჟენესი, გრევენმახერი | | 2 | ლუქსემბურგი | 1 | | | | დუდელანჟი |
| ვადუცი | | 1 | ლიხტენშტაინი | | | | | |
| ქიაფაზი, ნეფთჩი | | 2 | აზერბაიჯანი | 1 | | | | შამქირი |
| ჟელეზნიჩარი, სარაევო | | 2 | ბოსნია | 1 | | | | იედინსტვო |
| კონსტელასიო | | 1 | ანდორა | | | | | |
| ? | | 1 | სან მარინო | | | | | |

# ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

წილისყრა — 23 ივნისს
პირველი მატჩები — 12 ივლისს, საპასუხო მატჩები — 19 ივლისს
მონაწილე — 20 კლუბი

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

წილისყრა — 23 ივნისს
პირველი მატჩები — 26 ივლისს, საპასუხო მატჩები — 2 აგვისტოს
მონაწილე — 28 კლუბი (18 განთესილ კლუბს პლუს პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული 10 კლუბი)

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

წილისყრა — 21 ივლისს
პირველი მატჩები — 8-9 აგვისტოს,
საპასუხო მატჩები — 22-23 აგვისტოს
მონაწილე — 32 კლუბი (18 განთესილ კლუბს პლუს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული 14 კლუბი)

### პირველი ჯგუფური ტურნირი

წილისყრა — 25 აგვისტოს
I ტური — 12-13 სექტემბერი, II ტური — 19-20 სექტემბერი, III ტური — 26-27 სექტემბერი, IV ტური — 17-18 ოქტომბერი, V ტური — 24-25 ოქტომბერი, VI ტური — 7-8 ნოემბერი
მონაწილე — 32 კლუბი (16 განთესილს პლუს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული 16 კლუბი)
8 ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო კლუბი ითამაშებს მეორე ჯგუფურ ტურნირს

### მეორე ჯგუფური ტურნირი

წილისყრა — 10 ნოემბერს
I ტური — 21-22 ნოემბერი, II ტური — 5-6 დეკემბერი, III ტური — 13-14 თებერვალი, IV ტური — 20-21 თებერვალი, V ტური — 6-7 მარტი, VI ტური — 13-14 მარტი
მონაწილე — 16 კლუბი

### მეოთხედფინალი

წილისყრა — 16 მარტს
პირველი მატჩები — 3-4 აპრილი, საპასუხო მატჩები — 17-18 აპრილი

### ნახევარფინალი

წილისყრა — 16 მარტს
პირველი მატჩები — 1-2 მაისი, საპასუხო მატჩები — 8-9 მაისი

### ფინალი

23 მაისს მილანში, „სან სიროზე“

# უეფას თასი

UEFA CUP

### საკვალიფიკაციო ეტაპი

წილისყრა — 23 ივნისს
პირველი მატჩები — 10 აგვისტოს,
საპასუხო მატჩები — 24 აგვისტოს
მონაწილე — 82 კლუბი

### პირველი ეტაპი

წილისყრა — 25 აგვისტოს
პირველი მატჩები — 14 სექტემბერს,
საპასუხო მატჩები — 28 სექტემბერს
მონაწილე — 96 კლუბი (36 განთესილს პლუს საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული 41 კლუბი, პლუს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებული 16 კლუბი, პლუს ინტერ-ტოტოს 3 საუკეთესო კლუბი)

### მეორე ეტაპი

წილისყრა — 29 სექტემბერს
პირველი მატჩები — 26 ოქტომბერს,
საპასუხო მატჩები — 9 ნოემბერს
მონაწილე — 48 კლუბი

### მეთექვსმეტედფინალი

წილისყრა — 10 ნოემბერს
პირველი მატჩები — 23 ნოემბერს, საპასუხო მატჩები — 7 დეკემბერს
მონაწილე — 32 კლუბი (მეორე ეტაპზე გამარჯვებულ 24 კლუბს პლუს ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ტურნირში მესამე ადგილებზე გასული 8 კლუბი)

### მერვედფინალი

წილისყრა — 13 დეკემბერს
პირველი მატჩები — 15 თებერვალს,
საპასუხო მატჩები — 22 თებერვალს

### მეოთხედფინალი

წილისყრა — 13 დეკემბერს
პირველი მატჩები — 8 მარტს, საპასუხო მატჩები — 15 მარტს

### ნახევარფინალი

წილისყრა — 16 მარტს
პირველი მატჩები — 5 აპრილს,
საპასუხო მატჩები — 19 აპრილს

### ფინალი

16 მაისს დორტმუნდში, „ვესტფალენშტადიონზე“

# Copa Toyota Libertadores '2000

### ფინალი. საპასუხო მატჩი

**პალმეირასი (ბრაზილია) 0:0 (პენ.2:4) ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (2:2)**

პალმეირასი: მარკოსი, როჟერიო, არჯელი, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, გალეანო, ალექსი, პენა (ბასილიო 63), ეულერი, მარსელო რამოსი (ასპრილია 37)
მწვრთნელი: ლუის ფელიპე სკოლარი
ბოკა ხუნიორსი: კორდობა, იბარა, ბერმუდესი, სამუელი, არუაბარენა, ბატალია, ტრავერსო, რიკელმე, ბასუალდო, პალერმო, გილერმო ბაროს შელოტო
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)
75 000 მაყურებელი



REUTERS სან პაულუდან

„ბოკა ხუნიორსმა“ ლიბერტადორესის თასი მესამედ მოიგო

**წინა** სეზონის ამბავი აღარ განმეორდა, თუმცა მოლოდინი დიდი იყო. დიახ, ლიბერტადორესის თასის მფლობელმა „პალმეირასმა“ სამხრეთ ამერიკის უძვირფასესი საკლუბო ჯილდო „ბოკა ხუნიორსს“ გადაულოცა. რაც შეეხება მოლოდინს, პირველ მატჩში სტუმრად მიღწეული ფრის შემდეგ სან პაულუში მობრუნებული ბრაზილიელები საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული იყვნენ, მაგრამ... აუცილებლად უდა ვახსენოთ ორრაუნდიანი ორთაბრძოლების ოკეანისგაღმური სისტემა, რომელიც ჩვენი — ევროპულისგან განსხვავდება და შესაძლოა, გაურკვევლობაც გამოიწვიოს. იქაური პრინციპი ასეთია — მხოლოდ ქულებს ითვლიან, გოლებს მნიშვნელობა არა აქვს. ერთი თამაში თუგინდ 20:0 მოიგე, საპასუხოს ერთი ბურთის სხვაობითაც თუ წააგებ, ჯამში ფრეა. ამიტომ საპასუხო მატჩში გაგორებული 0:0 მასპინძლებს დიდად არ გახარებიათ, სტუმრად გატანილი ორი გოლის მიუხედავად, საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. ესეც კიდევ ერთი განსხვავება — არანაირი დამატებითი ტაიმები — აბა, იმპულსურ სამხრეთელებს კიდევ 30 წუთი ლოდინის უნარი სადა აქვთ.

თუმცა პენალტებამდე მატჩის ძირითადი დრო იყო და მოყოლაც აქედან დავიწყოთ. პირველ ტაიმში არგენტინელმა შუახაზელებმა ხუან რამონ რიკელმემ და ხოსე ბასუალდომ სტუმართა იერიშებს სული შთაბერეს და მეტოქე მისივე ნახევარზე მიაჯაჭვეს. თანაგუნდელებს მცველმა ხორხე ბერმუდესმაც აუბა მხარი და „პალმეირასის“ კართან სახიფათო მომენტები შეიქმნა. „ბოკას“ ტრავმამოშუშებულმა მეგოლემ მარტინ პალერმომ კი მხოლოდ ერთხელ გაისროლა. ამ დარტყმულს გოლი კი მოჰყვა, მაგრამ რად გინდა, მსაჯს იქამდე ოფსაიდი შეუნიშნავს. ბრაზილიელთაგან პირველ ტაიმში მხოლოდ ალექსი ირჯებოდა რიგიანად. 37-ე წუთზე კი მოხდა ის, რამაც გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია — ტრავმირებული მარსელო რამოსის ნაცვლად მინდორზე ევროპამოვლილი ფაუსტინო ასპრილია შევიდა. თუმცა ასპრილიაზე ცოტა ქვემოთ.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ბურთის მოწინააღმდეგის ნახევარზე გადატანას მოუხშირეს. ერთხელ წინა შეხვედრის გმირს რუდოლფო არუარაბენას (ბუენოს აირესში „ბოკას“ გატანილი ორივე გოლი მის ანგარიშზეა) ბურთის კარის ხაზიდან გამოტანაც მოუხდა. საგოლე მომენტები სხვაც ბევრი იყო. მერე კი ჯერი პენალტებზე მიდგა.

აქ ზემოთ ნახსენები ამბავის გახსენების დროა. სწორედ ასპრილია გამოდგა ის უიღბლო ფეხბურთელი, დარტყმა რომ გააფუჭა. კოლუმბიელს როკე ჟუნიორმაც აუბა მხარი და არგენტინელებს მეხუთე დარტყმა აღარც დასჭირვებიათ.

წინა წელსაც ასე იყო. საქმე თერთმეტმეტრიანებამდე მივიდა. მაშინ „პალმეირასს“ გაუმართლა, ახლა კი... „ღმერთმა ასე ინება“ — თქვა „ბოკას“ კოლუმბიელმა მეკარემ ოსკარ კორდობამ და მატჩის გმირის სახელიც შეიფერა.



REUTERS სან პაულუდან

დიეგო მარადონა ფინალში კომენტატორად მოგვევლინა

## ფეხბურთის [illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონ „ლევერკუზენის“ თავკაცმა კრისტოფ დაუმმა ბუნდესნაკრების მწვრთნელობაზე უარი თქვა. „ოფიციალურად ვაცხადებ, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ გავხდები“. მას შემდეგ, რაც ერიხ რიბეკმა თანამდებობა დატოვა, შესაძლო კანდიდატად სწორედ დაუმს მიიჩნევდნენ, თუმცა ქვეყნის საფეხბურთო კავშირს ახლა სხვა სპეციალისტის ძებნა მოუწევს. „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი 2001 წელს მისრულდება, მანამდე, ალბათ, არსად წავალ“ — განუცხადა დაუმმა ჟურნალ „კიკერს“.

**ინგლისელი** მცველის, გარეთ საუთგეიტის ყიდვა „ჩელსის“ მოუწადინებია. ჯანლუკა ვიალის გუნდს სავარაუდოდ ფრანკ ლებეფი დატოვებს, საუთგეიტს ლონდონელები, ალბათ, ამის შემდეგ გადაიბირებენ. „გავიგე, რომ „ჩელსიში“ მიწვევენ — განაცხადა „ასტონ ვილას“ მცველმა — თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი“. ერთ-ერთი ესპანური სააგენტოს ცნობით, საუთგეიტს „დეპორტივომაც“ დაადგა თვალი და ბირმინგემული კლუბის ხელმძღვანელობასთან მალე მოლაპარაკებებსაც დაიწყებს.

**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ თავის გუნდში დევიდ ბექემისა და დენის ბერგკამპის ხილვა სურს. მან აგრეთვე დასძინა, რომ „სან სიროზე“, შესაძლოა ხუან რამონ რიკელმეც გადაიყვანოს. „ბექემითა და ბერგკამპით მართლაც ვართ დაინტერესებულნი — თქვა გალიანიმ, — გვინდა, ძლიერი გუნდი შევკრათ, ამისთვის ყველა ღონეს ვიხმართ“. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ხელმძღვანელობა გალიანის განცხადებაზე ჯერჯერობით არაფერს იუწყება. ხუან რიკელმეს გადაბირება კი „მილანის“ გარდა „ბარსელონასაც“ განუზრახავს. ფეხბურთელის მომავალი ჯერჯერობით უცნობია. გალიანი ამბობს: „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტს რიკელმეს ტრანსფერზე უკვე ვესაუბრე. სიტყვიერად შევთანხმდით, რომ კონტრაქტს 2001 წელს გავაფორმებთ“.

**ინგლისის** ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ აპირებს, ლისაბონის „სპორტინგის“ მცველი ბეტუ სევერუ თავისთან გადაიყვანოს, თუმცა ამაში „რომა“ ეცილება. ბრიტანული პრესა გვამცნობს, რომ სერ ალექს ფერგიუსონი „იუნაიტედის“ დაცვის ცენტრში იაპ სტამის პარტნიორს ეძებს და საამისოდ, შესაძლოა სწორედ ბეტუ შეიგულოს. ფაბიო კაპელოს გუნდს, ალბათ, ბრაზილიელი ალდაირი დატოვებს და გამოცდილი სპეციალისტიც რომში ახალგაზრდა პორტუგალიელის ჩაყვანას ლამობს. 24 წლის ბეტუს სანაცვლოდ ლისაბონელები 10 მილიონ დოლარს ითხოვენ.

**ესპანეთის** პრიმერადივიზიონიდან გავარდნილ „ატლეტიკოს“ იმედი აქვს, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის დაბრუნებაში სლოვენიის ნაკრების ლიდერი ზლატკო ზაჰოვიჩი დაეხმარება. „ზაჰოვიჩი მართლაც ძლიერი ფეხბურთელია — განაცხადა მადრიდელთა თავკაცმა ფერნანდო სამბრანომ, რომელმაც პოსტზე რადომირ ანტიჩი შეცვალა — ამასვე ვიტყვი პორტუგალიელ ვიდიგალსა და რუმინელ კონტრაზე. გაისად უმაღლეს ლიგაში უნდა დავბრუნდეთ და ამ ფეხბურთელებით გუნდის გაძლიერებას ვაპირებ“.

## რუსეთი

XIV ტური
ცსკა 0:2 ურალანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენფილდმა დროის გამოცდას გაუძლო, ფულისას ვერა

## ბრიტანეთი ახალ საუკუნეს ახალი სტადიონებით ხვდება

ინგლისელები „უემბლის" ანგრევენ, ახლის აშენება განუზრახავთ. ამ რამდენიმე თვის წინ არსენალელებმაც თქვეს, „ჰაიბერის" ზომები არ გვაკმაყოფილებს და ტევადობა უნდა გავზარდოთო. კიდევ უფრო ადრე ფრანგებმა „პარკ დე პრენსზე" თამაში იუკადრისეს და „სტად დე ფრანსი" წამოჭიმეს, ხოლო იქამდე „აიაქსმა" ახალ „არენაზე" გააგორა ბურთი. რაღა შორს წავიდეთ, „მიხეილ მესხი" აგერ თბილისში არ შენდება?

ეს ყველაფერი იმიტომ ვახსენე, რომ ლივერპულიდან ამბავი მოვიდა, იქაურები ლონდონელებთან გაჯიბრებას — „ენფილდის" დანგრევას და ახალი სარბიელის აშენებას აპირებენ.

გაგვიგია, ინგლისელები ტრადიციის მოყვარული ხალხია, სიძველეს დიდ პატივს სცემენო. ჰოდა, რა დაუშავათ ლივერპულელებს „ენფილდმა", რომელზეც ისინი აგერ უკვე საუკუნეზე მეტია, 1892 წლიდან დაიარებიან? არც არაფერი. დაანგრევენ და მოენატრებათ კიდეც, მაგრამ ფულის ამბავიც ხომ იცით — სწორედ ფულშია საქმე. კალკულატორები მოვიშველიოთ და ანგარიშს შევუდგეთ.

„ენფილდი" 44 ათას მაყურებელს იტევს. გეხსომებათ, მეორე დივიზიონში დაქვეითებული „მანჩესტერ სიტის" თამაშებს 30 ათას ქომაგზე ნაკლები არ დასწრებია და რა გასაკვირია, „ლივერპულის" მატჩების ნახვის მსურველთა რაოდენობა ზემოთ ნახსენებ 44 ათასზე მეტი იყოს. მაინც რამდენით? კლუბის მესვეურთა თქმით, ასე 70 ათასი იქნება. გამოდის, რომ უადგილობის გამო „ლივერპული" ყოველ შეხვედრაში 26 ათას მაყურებელს კარგავს. მაყურებელი კი გაყიდულ ბილეთს ნიშნავს, გაყიდული ბილეთი — შემოსავალს.



1979 წლის შემოდგომაზე, „ენფილდზე" თბილისის „დინამომაც" ითამაშა

პრემიერლიგის მატჩებზე ბილეთის ფასი 25-დან 40 გირვანქამდეა. დავამრგვალოთ და 30 ვთქვათ. 26 ათასი დამატებითი ბილეთის გაყიდვა კი დამატებით 780-ათასიანი შემოსავალია. ახლა ეს ფული ჩემპიონატში საშინაო შეხვედრების რაოდენობაზე გადავამრავლოთ, ინგლისის ასოციაციისა და ლიგის თასების თამაშები დავუმატოთ და ევროტურნირებიც არ დავივიწყოთ. კარგა დიდი თანხა გამოდის. ზუსტად რამდენი? თავად დაითვალეთ.

ახლა კი ისევ ტრადიციებს მივუბრუნდეთ. ამხელა ფულზე იყოს ლაპარაკი და სტადიონის აშენების თარიღი რა სახსენებელია, მეცხრამეტეში კი არა, თუგინდ მეცხრე საუკუნის ნაგებობა იყოს.

აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ „ლივერპულის" ხელმძღვანელობა სამშაბათს შეიკრიბა და ინჟინერთა დასკვნებს გაეცნო, რომლის თანახმადაც ახალი სტადიონის მშენებლობას 150 მილიონი გირვანქა და სამი წელი დასჭირდება. ადგილიც მოუნიშნავთ — იქვე, ძველი „ენფილდიდან" ორასიოდე მეტრში. ახლომახლო მოსახლეებსაც გამოკითხავენ აზრს, ეს გრანდიოზული მშენებლობა რაიმე უხერხულობას ხომ არ შეგიქმნითო. კიდევ იტყვიან, ინგლისელები მეზობელს პატივს არ სცემენო.

დაბოლოს. „ენფილდი" ერთ-ერთი უძველესი სტადიონი კი არის, მაგრამ უფრო ძველებიც არსებობს. ინგლისში მასზე ადრე 31 სტადიონი აგებულა.

ისე, ამ სარბიელის ისტორიაში ქართველსაც ჩაუწერია ერთი ფურცელი. 1979 წელს ჩემპიონთა თასზე ალექსანდრე ჩივაძემ იქ გოლი გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

### მეცხრამეტე საუკუნეში აშენებული სტადიონები ინგლისში

| | | |
|---|---|---|
| მედოუ ლეინი | ნოთსი | 1862 |
| ვიქტორია გრაუნდი | სტოკი | 1863 |
| სიტი გრაუნდი | ნოტინგემ ფორესტი | 1865 |
| ჰილსბორო | შეფილდ უენსდეი | 1867 |
| ბარნდენ პარკი | ბოლტონი | 1874 |
| ვილა პარკი | ასტონ ვილა | 1874 |
| ევუდ პარკი | ბლექბერნი | 1875 |
| სენტ ენდრიუსი | ბირმინგემი | 1875 |
| ეირესოუმ პარკი | მიდლსბრო | 1876 |
| მოლინექსი | ვულვერჰემპტონი | 1877 |
| გუდისონი | ევერტონი | 1878 |
| პორტმან როუდი | იფსვიჩი | 1878 |
| ჰაუტორნსი | ვესტ ბრომვიჩი | 1879 |
| ოლდ ტრეფორდი | მანჩესტერ იუნაიტედი | 1878 |
| როჯერ ჰარკი | სანდერლენდი | 1879 |
| ქანთრი გრაუნდი | სუინდონი | 1881 |
| ტარფ მური | ბარნლი | 1882 |
| სენტ ჯეიმს პარკი | ნიუკასლი | 1882 |
| უაით ჰართ ლეინი | ტოტენჰემი | 1882 |
| ჰაფილდი | ქოვენთრი | 1883 |
| ფილბერტ სტრიტი | ლესტერი | 1884 |
| პრაიდ პარკი | დერბი ქაუნთი | 1884 |
| დელი | საუთჰემპტონი | 1885 |
| ფენილუორთი | ლუტონი | 1885 |
| ნიუ დენი | მილუოლი | 1885 |
| ლოფტუს როუდი | ქუინზ პარკი | 1885 |
| ჰაიბერი | არსენალი | 1886 |
| მეინ როუდი | მანჩესტერ სიტი | 1887 |
| ბრემელ ლეინი | შეფილდ იუნაიტედი | 1889 |
| სელჰარსტ პარკი | უიმბლდონი | 1889 |
| ვიქერეიჯ როუდი | უოტფორდი | 1891 |
| ენფილდი | ლივერპული | 1892 |
| მენორ გრაუნდი | ოქსფორდი | 1893 |
| ეშტონ გეითი | ბრისტოლი | 1894 |
| ბუნდერი | ოლდემი | 1894 |
| აპტონ პარკი | ვესტ ჰემი | 1895 |
| ფრეტონ პარკი | პორტსმუთი | 1898 |




# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შესვენების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)**

### ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

24 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | პორტუგალია-თურქეთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 026 | იტალია-რუმინეთი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

25 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 027 | ჰოლანდია-იუგოსლავია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 028 | ესპანეთი-საფრანგეთი | 3,4 | 2,9 | 2,1 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 075 | პორტუგალია-თურქეთი | 2,2 | 9,0 | 18,0 | 3,0 | 5,6 | 8,5 | 10,0 | 8,0 | 7,5 |
| 23.45 | 076 | იტალია-რუმინეთი | 2,3 | 9,0 | 18,0 | 3,0 | 5,3 | 8,5 | 10,0 | 8,0 | 7,5 |
| | | 25 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 077 | ჰოლანდია-იუგოსლავ. | 2,1 | 9,0 | 18,0 | 3,1 | 5,0 | 9,0 | 10,0 | 7,5 | 8,0 |
| 23.45 | 078 | ესპანეთი-საფრანგეთი | 4,4 | 7,5 | 14,0 | 5,0 | 4,5 | 4,0 | 17,0 | 7,5 | 3,2 |

(დასაშვებია №№075-078 გადამრავლება)

### ნახევარფინალში გასვლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | პორტუგალია . . . . . 1,25 | | 21.00 | 801 | ჰოლანდია . . . . . . . . . 1,2 |
| | | თურქეთი . . . . . . . . . 3,2 | | | | იუგოსლავია . . . . . . . 3,5 |
| | | იტალია . . . . . . . . . 1,25 | | | | ესპანეთი . . . . . . . . . 2,1 |
| | | რუმინეთი . . . . . . . . 3,2 | | | | საფრანგეთი . . . . . . . 1,5 |

| ჩემპიონი<br>24 ივნისი (21.00) | | ფინალში გასვლა<br>20 ივნისი (21.00) | |
|---|---|---|---|
| 101 ჰოლანდია | 3,2 | 201 ჰოლანდია | 1,6 |
| იტალია | 3,6 | იტალია | 1,8 |
| საფრანგეთი | 4,0 | საფრანგეთი | 2,0 |
| ესპანეთი | 6,0 | ესპანეთი | 2,8 |
| პორტუგალია | 6,0 | პორტუგალია | 3,0 |
| იუგოსლავია | 10,0 | იუგოსლავია | 5,0 |
| რუმინეთი | 15,0 | რუმინეთი | 7,0 |
| თურქეთი | 20,0 | თურქეთი | 10,0 |

*(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)*

### ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 20 ივნისი (23.45)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 701 მილოშევიჩი | 5,0 | 701 ფ.ინძაგი | 20,0 | 701 მონტელა | 30,0 |
| კლუივერტი | 6,0 | ბერხკამპი | 20,0 | ტრეზეგე | 30,0 |
| კონსეისაუ | 6,0 | მონტელა | 30,0 | ჯორკაეფი | 30,0 |
| ანრი | 7,0 | ფიგუ | 25,0 | დიუგარი | 30,0 |
| რაული | 9,0 | ზენდენი | 25,0 | რ. დე ბური | 40,0 |
| ალფონსო | 15,0 | ტოტი | 25,0 | კონტე | 40,0 |
| შუქური | 15,0 | ანელკა | 25,0 | ზიდანი | 40,0 |
| ფ. დე ბური | 15,0 | გომეში | 25,0 | | |
| დელ პიერო | 20,0 | მენდიეტა | 30,0 | | |

*იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა*


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის"შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

**ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)**

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს" განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.**


*დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია ხაზში არასწორი გადამრავლებისას, ფარდება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია*

*გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული*

რუსეთი. მე-14 ტური

23 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 054 | ლოკომოტივი-ალანია | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 055 | კრილია-როსტსელმაში | 1,9 | 2,6 | 4,0 |
| 056 | ფაკელი-ტორპედო | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 057 | როტორი-ჩერნომორეცი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 058 | ანჟი-სატურნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 059 | ნ.ნოვგოროდი-დინამო | 4,2 | 3,0 | 1,75 |
| 060 | სპარტაკი-ზენიტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები

24-25 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | სტაბეკი (ნორვეგია)-ფლორიანა (მალტა) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 002 | სილკებორგი (დანია)-მოგილევი (ბელარუსი) | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 003 | ვილიაში (აზერბაიჯანი)-ზაგლებე (პოლონეთი) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 004 | სლავენი (ხორვატია)-გლენავონი (ჩრდ.ირლანდია) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 005 | ველბაჟდი (ბულგარეთი)-დუბლინი (ირლანდია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 006 | ვესტერლო (ბელგია)-პრიმორიე (სლოვენია) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 007 | ობილიჩი (იუგოსლავია)-ჩიბალია (ხორვატია) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 008 | ელაჟნია (ალბანეთი)-სალამინა (კვიპროსი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 009 | დინაბურგი (ლატვია)-ტრენჩინი (სლოვაკეთი) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 010 | უნისპორტი (მოლდოვა)-ქუიმბრანი (უელსი) | 1,5 | 3,5 | 5.3 |
| 011 | ტატაბანია (უნგრეთი)-ტორსჰაგენი (ფარერები) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| *012* | *სტანდარდი (ბელგია)-დინამო (საქართველო)* | *ანგარიში –5,0* | | |
| 013 | ზრინსკი (ბოსნია)-ფრიოლუნდა (შვედეთი) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 014 | ქსამაქსი (შვეიცარია)-მიუპა (ფინეთი) | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 015 | ჩაპლაული (რუმინეთი)-ნარვა (ესტონეთი) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 016 | სიგმა (ჩეხეთი)-არაქსი (სომხეთი) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 017 | ჰაპოელი (ფ-თ/ისრაელი)-ლინცერი (ავსტრია) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 018 | ლუცერნი (შვეიცარია)-ლეიფტური (ისლანდია) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 019 | ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)-პელისტერი (მაკედონია) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 020 | ატლანტასი (ლიტვა)-ქოჯაელი (თურქეთი) | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბასკოს და აზოტს რუსეთში შანსი არ ექნებოდათ

## რუსმა მწვრთნელმა ქართულ კალათბურთში დისციპლინა ვერ იპოვა

*საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერიისთვის ბათუმის „ბასკომ“ კონსულტანტად რუსი სპეციალისტი, პაველ გოოგე მოიწვია.*

*გოოგე დაიბადა 1961 წლის 24 იანვარს რუსეთის ქალაქ უფაში. 1986-1993 წლებში მუშაობდა ბავშვთა კალათბურთში. 1993 წლიდან ოთხი სეზონის განმავლობაში რუსეთის უმაღლესი ლიგის ბინადარ ეკატერინბურგის „სკა-ურალს“ ავარჯიშებდა. 1997-99 წლებში კი პერმის „ურალ-გრეიტს“ ხელმძღვანელობდა. 1997 წელს იყო რუსეთის 22-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე. 1999 წელს კი „რუსეთის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში ხელმძღვანელობდა „აღმოსავლეთის ნაკრებს“.*

**— პაველ ედმუნდოვიჩ, ამჟამად რას საქმიანობთ?**

— ჯერჯერობით უმუშევარი ვარ.

**— „ურალ გრეიტიდან“ რატომ გაგათავისუფლეს? გუნდი ხომ თქვენი ხელმძღვანელობით ზედიზედ ორჯერ გახდა აღმოსავლეთის დივიზიონის ჩემპიონი?**

— არავის გავუთავისუფლებივარ, პირიქით, ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ პირობებზე ვერ შევთანხმდით და გადავწყვიტეთ გამოცდილი სპეციალისტი სერგეი ბელოვი მოგვეწვია. მე ისეთ გუნდთან მსურს მუშაობა, რომლის მიზანიც მხოლოდ ჩემპიონობაა.

**— მოსკოვის ცსკა-ს მწვრთნელობაზე ფიქრობთ? იგი ხომ რუსეთის უცვლელი ჩემპიონია ბოლო წლებში.**

— ცსკა-ს უკვე ჰყავს ახალი მთავარი მწვრთნელი ვალერი ტიხონენკო. რაც შეეხება არმიელთა ყოფილ მთავარ მწვრთნელ სტანისლავ ერიომინს, მომავალი სეზონიდან იგი სალონიკის პაოკ-ს უხელმძღვანელებს. ცსკა წლეულს ცუდად გამოვიდა ევროლიგაში და რუსეთის ჩემპიონატშიც ძლივს შეინარჩუნა პირველი ადგილი. ყაზანის „უნიკსისა“ და „ურალ გრეიტის“ ხელმძღვანელებს ცოტა სხვანაირად რომ ემუშავათ, ადვილი შესაძლებელი იყო, რუსეთს ერთ-ერთი მათგანის სახით ახალი ჩემპიონი ჰყოლოდა. სერიოზული გეგმები აქვთ „უნიკსის“, „ურალ გრეიტისა“ და სარატოვის „ავტოდორის“ ხელმძღვანელებს. ვფიქრობ, მომდევნო ჩემპიონატი უფრო საინტერესო იქნება და ცსკა-ს პირველი ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

**— თქვენ თუ მიგიწვიათ რომელიმე გუნდმა?**

— არის ორი ვარიანტი, რომელსაც ამ დღეებში განვიხილავ და ივლისის მეორე ნახევარში მივიღებ გადაწყვეტილებას.

**— „ბასკოს“ ხელმძღვანელობას ხომ არაფერი შემოუთავაზებია?**

— მაგ თემაზე საუბარი არ ყოფილა. სადაც არ უნდა ვიყო, თუ „ბასკოს“ ხელმძღვანელობა მოისურვებს, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის დავეხმარები.

**— როდის ჩამოხვედით საქართველოში?**

— დამირეკა „ბასკოს“ ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ და მთხოვა, ჩამოვსულიყავი. 5 ივნისს უკვე აქ ვიყავი.

**— როგორ გაიცანით ემირიძე?**

— მე და მერაბი ერთმანეთს დაგვაკავშირა ვლადიმერ ბეჟანიშვილმა, რომელიც 1998-99 წლებში ჩემი შეგირდი იყო „ურალ გრეიტში“.

**— ადრე თუ გქონიათ ურთიერთობა ქართულ კალათბურთთან, საქართველოში პირველად ჩამოხვედით?**

— საბჭოთა კავშირის დროს, 80-იან წლებში სტუდენტობა ლენინგრადში გავატარე. სიამოვნებით ვესწრებოდი ხოლმე ადგილობრივი „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრებს. ყოველთვის მომწონდა ტექნიკური ქართველების სწრაფი, შემტევი კალათბურთი. თბილისში კი პირველად 13 წლის წინ მოვხვდი, ქართველი მწვრთნელის, გივი ჩინჩალაძის მოწვევით. მე და ჩინჩალაძემ ერთმანეთი გავიცანით დნეპროპეტროვსკში, სადაც საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდებოდა ჭაბუკებს შორის. ჩვენ დავმეგობრდით და თბილისში რამდენიმე შეხვედრა მოვაწყეთ უფის სპორტსკოლისა და თბილისის „მართვეს“ ბავშვთა საკალათბურთო გუნდებს შორის.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ურალ გრეიტში“ მუშაობისას ჩემთან ვლადიმერ ბეჟანიშვილი თამაშობდა. ვალერი კილაძე და კახაბერ შენგელიაც გვყავდნენ პერმში გასინჯვაზე, მაგრამ მათ გუნდის მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილეს.

**— რა იცით დღევანდელი ქართული კალათბურთის შესახებ?**

— ვლადიმერ სტეფანიას და ვახტანგ ნაცვლიშვილს საკალათბურთო სამყაროში თითქმის ყველა იცნობს. გყავთ ნიჭიერი ახალგაზრდებიც, რომელთა შორის გამოვყოფდი ზაზა ფაჩულიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილს და ვლადიმერ ბოისას. ვიცი, რომ გაქვთ უსასრულოდ



პაველ გოოგე

გაწელილი ჩემპიონატი უამრავი გუნდის მონაწილეობით.

**— საიდან ამდენი ინფორმაცია?**

— ინტერნეტიდან, სადაც დაწვრილებითი ცნობები არსებობს პერსპექტიული ლეგიონერების შესახებ და ჩემი ბასკოელი მეგობრების დახმარებით, რომლებმაც საშუალება მომცეს, ვიდეოფირზე მენახა თქვენი ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრა.

**— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ და რატომ თვლით აუცილებლად საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბების შემცირებას, 12 გუნდი ხომ არც ისე ბევრია?**

— გეთანხმებით, 12 გუნდი არც ისე ბევრია, მაგრამ მათი დონე მეტად დაბალია. უაღრესად დიდია აგრეთვე სხვაობა მოასპარეზე გუნდებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაბალია კალათბურთელთა ფიზიკური მომზადებაც. მე მესმის მწვრთნელების, მათ უჭირთ სპორტსმენთა ფიზიკური დატვირთვა. მოთამაშე ამბობს, რა საჭიროა მეტი ვარჯიში, როდესაც ისედაც 40-50 ქულის სხვაობით ვიგებთ შეხვედრებს. საქართველოში დღეს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ექვსზე მეტი გუნდის მონაწილეობით გაუმართლებლად მიმაჩნია. სასურველია, აქედან ოთხი იყოს ადგილობრივი და ორი — მოწვეული, თუნდაც თურქეთიდან. თუ თქვენს ჩემპიონატში უცხოურ გუნდებსაც ჩართავთ და ღია პირველობის სახეს მისცემდით, ძალიან წაადგება ქართულ კალათბურთს. რეალობას თვალი უნდა გაუსწოროთ, საქართველოში დღეს არ არის 4-5 გუნდზე მეტი, რომლებიც ერთმანეთს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ. რა დაშავდება იმით, თუ დანარჩენებს პირველ ლიგაში ათამაშებთ და ისინი უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის იბრძოლებენ?

**— ფინალისტების შესახებ რას გვეტყვით?**

— რა თქმა უნდა, კლასით ისინი განსხვავდებიან სხვა გუნდებისგან, მაგრამ თანამედროვე სტანდარტებით მათზე საუბარიც კი არ ღირს. როგორც ყოველთვის, ქართველები, ამჯერად კი ფინალში მონაწილე გუნდები, კარგად გამოიყურებოდნენ თავდასხმაში, ხოლო დაცვა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ორივე გუნდი, ისევ და ისევ ფიზიკური მოუმზადებლობის გამო, დაცვაში ჩამოსვლას ველარ ასწრებდა.

„ბასკო“ უპირატესობას ფლობდა წინა ხაზში, სადაც გამოირჩეოდნენ ბეჟანიშვილი, არხიპოვი და ქარაბაკი. უკანა ხაზში კი დიდი დანაკლისი განიცადეს მამუკა აბრამიძის ტრავმის გამო. პირველ წრესთან შედარებით ვერც ალექსანდრე დავითულიანი იყო ჩვეულ ფორმაში, მას ხომ ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა.

„აზოტი“ პირიქით, ძლიერი იყო უკანა ხაზით. გუნდის ლიდერ რამაზ გოგობერიშვილთან ერთად ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ზაზა გაბისონიამ და არჩილ ყლენტმა. ვერ ვიტყვი, რომ „აზოტს“ „ბასკოზე“ მოკლე სკამი აქვს. სპორტსმენები, რომლებიც შეცვლაზე შემოდიან, თამაშს არ აფუჭებენ. სათ-

დარიგოებიდან განსაკუთრებით მომეწონა წიკლაური. სხვა კალათბურთელებსაც შეუძლიათ უკეთ ითამაშონ, თუ მწვრთნელი უფრო ხშირად მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას. „აზოტი“ კარგი გუნდია, მაგრამ მწვრთნელ-კალათბურთელები ემოციებით აფუჭებენ საქმეს. ისინი რომ მსაჯთან კამათს შედარებით მცირე დროს უთმობდნენ, ბევრად უკეთ ითამაშებდნენ.

აზოტელები გრძნობენ ერთმანეთს. ეტყობათ, რომ ერთად დიდი ხანია თამაშობენ. კარგი ლიდერი ჰყავთ გოგობერიშვილის სახით. ყველა ასრულებს თავის საქმეს, ბურთს იშვიათად კარგავენ, ავლენენ ბრძოლისუნარიანობას. ჭკვიანური კალათბურთი აქვთ, აგდებენ სამქულიანებს, ფარქვეშ შედიან. ისინი ხელით და ფეხით ჰქმნიან კალათბურთს, მაგრამ ყველაფერს აფუჭებენ ენით. გადამწყვეტ შეხვედრაში „აზოტს“ სამი ტექნიკური ჯარიმა რომ არ მიეღო, მოგების კარგი შანსი ჰქონდა. თავშეუკავებლობის გამო ბევრს კარგავენ...

თბილისში ყოფნის დროს დავესწარი ბავშვთა ლიგის ფინალებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ის, რასაც დისციპლინა ჰქვია, ქართულ კალათბურთში საერთოდ არ არსებობს.

**— მსაჯობით თუ დარჩით კმაყოფილი?**

— ეტყობოდათ, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი მსაჯები არიან და შეცდომებსაც უშვებენ. მსაჯებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც მწვრთნელები და კალათბურთელები და მათაც აქვთ შეცდომის უფლება. მიკერძოება ნამდვილად არ შემიმჩნევია, ხოლო გაუგებარ სიტუაციაში ხშირად ვარდებოდნენ მწვრთნელებისა და მოთამაშეთა ზეწოლის გამო. მწვრთნელებმაც და კალათბურთელებმაც უნდა იცოდნენ, რომ მსაჯს რასაც მეტს დაუყვირებენ, მისგან უფრო მეტი შეცდომაა მოსალოდნელი.

რუსეთში ჩემპიონატის რიგითი მატჩის დროსაც კი მსაჯებს მინიმუმ ორკაციანი სპეციალური დაცვა ჰყავს. თქვენ თუ ისინი ფინალური შეხვედრებში გყავდათ უპატრონოდ მიტოვებული, წარმომიდგენია, რა იქნება რეგულარული ჩემპიონატის მატჩებში.

**— თქვენი შეხედულებით, როგორ იყო ორგანიზებული ფინალური მატჩები?**

— ვიცი, რომ საქართველოს უჭირს ეკონომიურად, მაგრამ ასეთ დაბალ დონეს მაინც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. პირადად მე ვერსად შევამჩნიე აფიშები, რეკლამები, ტრანსპარანტები. არსად არ იგრძნობოდა საზეიმო განწყობილება. სხვანაირად კი ფინალს აბა, რა ფასი აქვს. არ ვიცი, ესწრებოდნენ თუ არა თანამდებობის პირები პლეი ოფის მატჩებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ გაჭირდა მატჩებზე თუნდაც რამდენიმე მოცეკვავე გოგონას მოყვანა და მათი გამოსვლა წუთშესვენებების დროს. შარუნას მარჩულიონისმა უდიდესი ძვრები მოახდინა ლიტვის ეროვნული ჩემპიონატის განვითარებისათვის. მათ ისეთი სპონსორი ჰყავთ, რომელიც თითოეულ მატჩში მონაწილეობისთვის გასამრჯელოს უხდის გუნდს. რუსეთის ცენტრალურ ქალაქებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კალათბურთი პერმშიც კი უდიდესი ზეიმია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ აუცილებლად უნდა გამონახოს სპონსორი, რადგან უამრავი სამუშაო აქვს გასაკეთებელი. თქვენს კალათბურთს სჭირდება ისეთი პიროვნება, როგორებიც არიან ლიტველთათვის შარუნას მარჩულიონისი, უკრაინელთათვის — ალექსანდრ ვოლკოვი, რუსთათვის — ბიზნესმენი ვალერი კუზინი. ქართველებს რომ საქმის გაკეთება შეგიძლიათ, ამის ნათელი მაგალითი ბათუმში მომხდარი სასიკეთო ძვრებია. „ბასკო“ დღეს დიდ საქმეს აკეთებს ქართული კალათბურთის განვითარებისათვის. როგორც მითხრეს, აპირებენ საკალათბურთო დარბაზის და ბავშვებისათვის ღია მოედნის აშენებას. „ბასკოს“ ჩემპიონობა ამ დიდი საქმისათვის მხოლოდ ერთი საფეხური იყო. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო: თუ რამე შემიძლია, ამ ხალხს აუცილებლად მივეხმარები. როცა სათამაშო პირობები იქნება, კალათბურთელი უცხოეთში აღარ წავა და აქ გაახარებს თავისი თამაშით გულშემატკივრებს.

ერთიც მინდა ვთქვა, თუ არ ჩავთვლით დისციპლინას, დიდებისაგან განსხვავებით, შედარებით მომეწონა ბავშვთა კალათბურთის მომზადების დონე. დარბიან, თავს იცავენ, ტაქტიკაც აქვთ, მაგრამ სკოლას რომ ამთავრებენ, ეტყობა, კალათბურთისთვის იკარგებიან.

**— ქართველი კოლეგების — ტომარაძის და ხმელიძის შესახებ რას გვეტყოდით?**

— 2-3 მატჩის მიხედვით ძნელია მწვრთნელების შეფასება, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — ისინი თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებები არიან. ისე, ცუდი არ იქნებოდა, თუ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ერთ, ან ორკვირიან შეკრება-სემინარს მოუწყობს თავის მწვრთნელებს მეზობელ თურქეთში. აღარაფერს ვამბობ ამერიკის შეერთებულ შტატებზე ან სხვა საკალათბურთო ქვეყნებზე.

**— როგორი შედეგი ექნებოდათ რუსეთის ჩემპიონატში „ბასკოს“ და „აზოტს“?**

— არა მგონია, რუსეთში მათ რომელიმე გუნდს გადაასწრონ. ეს სინამდვილეა და თუ გვინდა კარგი შედეგი გვქონდეს, სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. რუსეთში კალათბურთელი დღეს ირკუტსკში თამაშობს, ხვალ სარატოვში და ზეგ ეკატერინბურგში. მარტო მგზავრობა მეტად დიდ ფიზიკურ დატვირთვებს მოითხოვს, თქვენი კალათბურთელები კი ფინალური სერიის მატჩების ბოლომდე ჩატარებასაც ვერ ახერხებენ. ვლადიმერ ბეჟანიშვილს აშკარად ეტყობა, რომ ფიზიკურად უფრო მოისუსტებს, ვიდრე „ურალ გრეიტში“ თამაშის დროს. ეს კი ნაკლები დატვირთვის ბრალია და მეტი არაფერი.

**— თითზე ჩამოსათვლელი კალათბურთელებიც არ გვყავს, რომლებმაც თქვენი მოწონება დაიმსახურეს?**

— მე მხოლოდ ფიზიკურ მომზადებას ვგულისხმობ, თორემ ქართველი კალათბურთელების ტექნიკას ყველა მოთამაშე ისურვებდა. მთლიანობაში ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აზოტელმა ზვიად ბაბიაშვილმა და სტუ-ს ამროსი ორმოცაძემ, რომელიც ჭკვიანი, გამოცდილი და ფიზიკურად ძლიერი კალათბურთელი ჩანს.

**— საუბრის ბოლოს რას უსურვებთ ქართულ კალათბურთს?**

— წარმატებას და მხოლოდ წარმატებას საქმისადმი კი ისეთ სერიოზულ დამოკიდებულებას, როგორიც მე საქართველოს ერთ გუნდში, „ბასკოში“ დავინახე.

**— საქართველოში დარჩენას დიდხანს აპირებთ?**

— ცოლ-შვილი ბათუმში მელოდება. ერთი კვირაც დავტკბები თქვენი ზღვისპირეთის მშვენიერებით, ცოტას მზეზე გავირუჯები კიდეც, თორემ რით დავარწმუნო მეგობრები, რომ დაახლოებით სამი კვირა შავი ზღვის სანაპიროზე გავატარე.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# ანატოლი ბუკრეევის უგუნურება, ფანტაზია, ნათება, თავგადასავალი და ტრაგიკული აღსასრული



## პროლოგი

ანატოლი ბუკრეევის დასახასიათებლად სათაურში მოხმობილი სიტყვები მთელი სიგრძე-სიგანით მიესადაგება ამ მთამსვლელს. მისი სამთო უგუნურობანი ყველაზე თავზეხელაღებულ, ყველაზე დიდ შერეკილ მთამსვლელსაც კი შეშურდებოდა. მისი სამთო ფანტაზია მართლაც რომ საარაკო და უკიდეგანო იყო; მისი ბედის ვარსკვლავი ყველაზე კაშკაშა ციური მანათობელივით ბრწყინავდა, ბუკრეევის ყოველი ასვლა იყო ერთმანეთზე უდიდესი თავგადასავალი, თავგადასავალი და ისევ თავგადასავალი, რომელიც მრავალს ეყოფოდა.

ჩვენი წერილის გმირის დასახასიათებლად ამგვარი სიტყვების შერჩევაზე ბევრი არ გვიფიქრია. ისინი ზედაპირზე იდო, იმ ზედაპირზე, რომელსაც ანატოლი ბუკრეევის მონაწილეობით ჩატარებულ, ერთმანეთზე უფრო გახმაურებულ ექსპედიციებს ერქვა: „გიდების ფანტაზია მთის თხემზე“, „ჩრდილოეთის ნათება“, „სამთო უგუნურობა“, „კონდორის თავგადასავალი“...

და როდესაც „კონდორს“ სიკვდილმა უწია, აღსასრულიც ისეთივე ჰქონდა, როგორც უნდა ჰქონოდა — ტრაგიკული!

საოცარი ის იყო, რომ მისი დაუოკებელი ხასიათის კაცს ტრაგედია უფრო ადრე არ დაატყდა თავს, თუმცა, მეორეს მხრივ, ეს საკვირველი სულაც არ იყო, რადგან ამ ფენომენალური ენერგიის, გამძლეობისა და ამტანობის კაცს უდიდესი გამოცდილება დაგროვებოდა. იგი თავისი საქმის პროფესიონალი და ჭეშმარიტი დიდოსტატი იყო, მაგრამ იგი დაიღუპა ისეთ შემთხვევაში, როდესაც კაცს ვერანაირი გამოცდილება და ოსტატობა ვერ შველის...

ეს მოხდა შარშანწინ, ანაპურნაზე...

## ანაპურნამდე

როცა 1980 წელს სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ანატოლი ბუკრეევი თავის პირველ შვიდიათასიანზე კომუნიზმისა (7495მ) და ლენინის (7137) პიკებზე ავიდა, ყველა უმაღლესი მწვერვალი უკვე დალაშქრული იყო. ამასთან, იყვნენ ადამიანები, იტალიელი რაინჰოლდ მესნერი და პოლონელი ანჯეი კუკუჩკა, რომლებსაც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანიდან გადმოეხედათ. ბევრ მათგანზე ხალხს კლასიკური მარშრუტები გაეტკეპნა კიდეც. გავლილი იყო დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტისკენ (8848) მიმავალი ყველა ლოგიკური მარშრუტიც, მთამსვლელებს ზოგიერთი რვაათასიანისკენ უკვე ზამთარშიც გაეკვალათ გზა; ზოგი თავზეხელაღებული იმ ბუმბერაზებიდან თხილამურებითაც დაშვებულა...

მაშ, რაღა დარჩენოდა ანატოლი ბუკრეევს? მას როგორღა უნდა დაეტოვა თავისი კვალი იმ გოლიათებზე? რითი უნდა ჩაეწერა თავისი სახელი მთამსვლელობის ისტორიაში?

ეს პრობლემები მან გადაწყვიტა მოკლე დროში რვაათასიანებზე ასვლების სიმრავლით, ამ ბუმბერაზებზე სარეკორდოდ სწრაფად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — არბენა-ჩამორბენებით, ახალი, ურთულესი მარშრუტების გაკვალვით, ზამთრის ლაშქრობებით და აქაც უვალი გზების დაძლევით.

ანატოლი ბუკრეევი მთაში პირველად 1970 წელს მოხვდა. მაშინ მეკლდეურობაში სავარჯიშოდ ეს თორმეტი წლის კნაჭა ბიჭი ურალის მთებში (1600-1800მ) დაჰყავდათ. თექვსმეტისამ თავისი პირველი მთამსვლური სიმაღლიდან — 5000 მეტრიდან გადმოიხედა. 1979 წელს, როცა ჩელიაბინსკის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის მასწავლებლისა და პარალელურად სათხილამურო რბოლების მწვრთნელის დიპლომები მიიღო, საბოლოოდ მთაში გადაიხვეწა და იქ ისეთი სირბილი დაიწყო, განსაკუთრებით 1987 წლიდან, რომ დასაბმელი შეიქმნა.

ბუკრეევის საარაკო მიღწევათაგან და დამსახურებეთაგან ვეცადეთ გამოგვერჩია მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანი, რათა მკითხველის ყურადღება არ გადაგვეღალა, მაგრამ ნუსხა მაინც ვრცელი გამოგვივიდა.

აი, ისიც, წლების მიხედვით:

1987, გამარჯვება სსრ კავშირის მეორე ჰიმალაური ექსპედიციისთვის შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე სწრაფად ასვლა-ჩამოსვლაში. 4200 მეტრიდან მწვერვალამდე და უკან დრო რეკორდული იყო — 1 საათი და 7 წუთი.

გამარჯვება იმავე ექსპედიციის ანალოგიურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის უმაღლეს მწვერვალ კომუნიზმის პიკზე (7400). 6600 მეტრზე მდებარე ბანაკიდან მწვერვალამდე ასვლა კვლავ რეკორდულ დროში, 1 საათსა და 27 წუთში განახორციელა.

მარტოდმარტო პირველი სწრაფი ასვლა 4200 მეტრიდან ლენინის პიკზე (7137). ასვლა 8 საათში, ასვლა-ჩამოსვლა ჯამში 14 საათი.

1988. სსრკ-ს ნაკრებთან ერთად მანამდე განუხორციელებელი ტრავერსი გამარჯვების პიკიდან ტოპოგრაფთა პიკამდე.

ამ ასვლებისთვის სკკპ ცკ-ს პირველი მდივანი მიხეილ გორბაჩოვი ანატოლი ბუკრეევს აჯილდოებს ორდენით „პირადი ვაჟკაცობისთვის“.

1989 წ. 30 აპრილი — 2 მაისი, სსრ კავშირის მეორე ჰიმალაიური ექსპედიციის წევრებთან ერთად ბუკრეევი ახორციელებს კანჩენჯანღას ოთხივე რვაათასიანი მწვერვალის მანამდე გაუგონარ ტრავერსს, რასაც იმ სეზონში ჰიმალაის მთებში საუკეთესო ასვლად აღიარებენ.

15 მაისს იმავე ტრავერსის გავლისას კანჩენჯანღას საშუალო მწვერვალზე (8489) სამხრეთიდან ცენტრალური კულუარის დაძლევით ახორციელებს პირველ ასვლას.

1990 მაისი. ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლეს მწვერვალი მაკ-კინლი (6193). დასავლეთის თხემიდან პირველი ეული ასვლა რეკორდულ დროში — 10 საათი და 30 წუთი.

აგვისტო. პირველი ჩქაროსნული, სოლო ასვლები ხან თენგრისა (7010) და გამარჯვების (მყინვარიდან მწვერვალამდე — 36 საათი) პიკებზე.

1991. გამარჯვება იალბუზის მთავარ მწვერვალზე (5633) გამართულ საერთაშორისო ჩქაროსნულ ასვლაში. რეკორდული დრო (1 საათი და 40 წუთი) თერთმეტთა თავშესაფრიდან მწვერვალამდე

10 მაისი. დჰაულაგირი (8176). ყაზახეთის პირველი ჰიმალაიური ექსპედიციის წევრებთან ერთად ახალი მარშრუტი დასავლეთის კედელზე. ჰიმალაიზე სეზონის საუკეთესო ასვლა.

1994. მაკალუ (8476). ამერიკელ ნილ ბეიდლემანთან წყვილში საბაზო ბანაკიდან (5300) ჩქაროსნული ასვლა 46 საათში.

1995. დჰაულაგირი. საბაზო ბანაკიდან (4700) ჩქაროსნული ეული ასვლა, რეკორდულ დროში — 17 საათი და 15 წუთი. ასვლა-ჩამოსვლა ჯამში — 25 საათი

1996. რვაათასიანებზე ხუთი ასვლა თორმეტ თვეში (1995 წლის 17 მაისიდან 1996 წლის 17 მაისამდე).

ამ ლაშქრობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი ასვლა: 17 მაისს ლჰოცზეზე(8505) საბაზო ბანაკიდან (5300) ეული ჩქაროსნული ასვლა-ჩამოსვლა რეკორდულ დროში — 25 საათი.

25 სექტემბერს ჩო ოიუზე (8201) ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე ისევ სოლო ასვლა ხუთ დღეში (აკლიმატიზაციის ჩათვლით)

9 ოქტომბერს შიშა პანგმას ჩრდილოეთ მწვერვალზე (8008) ასვლა. რა თქმა უნდა — ისევ მარტოდმარტო.

1997. ანატოლი ბუკრეევი გასულ წელთან შედარებით უფრო შორს მიდის და მთამსვლელობის ისტორიაში პირველად 80 დღეში ოთხ რვაათასიანზე (ევერესტზე, ლჰოცზეზე, ბროუდ პიკზე, გაშერბრუმზე) ასვლას ახერხებს, აქედან ორს კი სულაც შვიდ დღეში ასწრებს.

ამ ოთხი ასვლიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 14 ივლისს მეორე გაშერბრუმზე (8035) მარტოდმარტო ექსპრესივით აქროლებ-ჩამოქროლება. საბაზო ბანაკიდან (5800) იქ ავარდნას რეკორდულად ცოტა დრო — 9 საათი და 37 წუთი მოანდომა და იქიდანაც მეტეორივით 3 საათსა და 22 წუთში „ჩამოვარდა“, ერთი კვირით ადრე კი ასევე საბაზო ბანაკიდან 36-საათიანი სოლო გავარდნა ჰქონდა ბროუდ პიკზე (8047).

ანატოლი ბუკრეევის წარმატებათა ნუსხაში არ შეგვიტანია სსრ კავშირის შვიდიათასიანებზე 30-ზე მეტი წარმატებული ლაშქრობა სხვადასხვა გზებით, არ მოგვიხსენებია რვაათასიანებზე კიდევ .. ასვლა, მათ შორის ოთხი წარმატებული ლაშქრობა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე.

ეს და სხვა მრავალი ასვლები არ მოგვიხსენებია იმდენად, რამდენადაც ისინი ანატოლი ბუკრეევისთვის იყო ჩვეულებრივი, რიგითი ასვლები, თუმცა, მრავალთ ეყოფოდათ საამაყოდ.

ანატოლი ბუკრეევის სახელი დიდი ასოებით ჩაიწერა აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელთა ისტორიაშიც. იგი მათ ევლინებოდა როგორც პროფესიონალი მწვრთნელი, კონსულტანტი თუ მეგზური. სწორედ მისი თანხლებით ევერესტზე და სხვა რვაათასიანებზე პირველად ავიდნენ ინდონეზიელები, დანიელები, უელსელები, ბრაზილიელები, ბოლივიელები.

1993 წელს ბუკრეევმა ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა 70 წლის ჯორჯ რობინსი, რომელიც მაკ-კინლიზე უხუცესი ამსვლელი აღმოჩნდა, ორი წლის მერე კი 4010 მეტრის სიმაღლის აბოს პიკზე, როგორც პერსონალური მეგზური, გაუძღვა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს.

ანატოლი ბუკრეევის მიღწევები მრავალ წელიწადს იქნება სხვათა ორიენტირი. მისი მიღწევების გაუმჯობესებას ანატოლი ბუკრეევზე მეტად ცხრაგზის თავზეხელაღებული თუ შეეცდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კაცს გაუკეთებია, ეს არის მრავალი მთამსვლელის გადარჩენა.

## უდიდესი რისკის ფასად

ხიფათში ჩავარდნილ მთამსვლელებს, მეტადრე რვაათასიანებზე მოლაშქრეებს, აქვთ სამი დაუწერელი კანონი, რომლებიც მოგვაგონებს ერთ ქართულ ანდაზას — ჯერ თავო და თავოო...

ეს კანონებია: 1 გადაარჩინე საკუთარი თავი; 2 გადაარჩინე სხვა, თუ შეგიძლია; 3 თუ არჩევანი გაქვს, დაეხმარე მას, ვისაც გადარჩენის ყველაზე მეტი შანსი აქვს.

ამ კანონთაგან, ჩვეულებრივ, მეორე და მესამე „ირღვევა“, ანატოლი ბუკრეევი კი მხოლოდ პირველს უგულებელყოფდა და საკუთარი სიცოცხლის უდიდესი რისკის ფასად სხვათა გადასარჩენად იბრძოდა.

მთამსვლელთა მრავალი გმირობის ისტორიას ვიცნობთ, მაგრამ ისეთი თავდადება, რომელიც ანატოლი ბუკრეევმა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე გამოიჩინა,ზღაპრადაც კი არ გვსმენია.

მაშინ, 1996 წლის გაზაფხულზე ევერესტის დაპყრობათა ისტორიაში ერთ დღეში ყველაზე მეტი, თერთმეტი კაცი დაიღუპა. რომ არა ბუკრეევი, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

ტრაგედია მწვერვალის დალაშქვრის მერე დატრიალდა. ანატოლი ბოლო, ყველაზე ზემოთ მოწყობილ საიერიშო ბანაკში მწვერვალიდან დაბრუნებული იყო, სხვებმა კი ეს ვერ მოასწრეს, რადგან მათ საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო. „სიკვდილის ზონაში“ 20 მთამსვლელი სიცოცხლისთვის იბრძოდა. ბუკრეევმა 24 საათში, 40-გრადუსიან ყინვაში, დღისით თუ ღამით, ოთხჯერ შესძლო ზემოთ ასვლა, ხიფათში მყოფთათვის ჟანგბადის ბალონების აზიდვა, ქანცგაწყვეტილთა ზურგზე მოკიდება, ბანაკში ჩამოყვანა და მოსულიერება.

ბოლოს, 24-საათიანი ზევით-ქვევით სიარულის მერე თავადაც მეოთხე ბანაკში დავარდა. არათუ ზემოთ, ქვემოთაც აღარ შეეძლო ნაბიჯის გადადგმა, ზემოთ კი ამ დროს მისი ძველი მეგობარი, ამერიკელი სკოტ ფიშერი ებრძოდა სიკვდილს.

საღამოხანს ანატოლიმ ძალ-ღონე მოიკრიბა და ზემოთ მეხუთედ ავიდა. მან მოძებნა სკოტ ფიშერი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ანატოლიმ ისღა მოახერხა მეგობრისთვის, რომ მისი ცხედარი გაჭირვებით გვერდზე გადაასვენა, სასუფეველი გაუმზადა და ევერესტს სამარადჟამოდ მიაბარა.

ანატოლის ეს გმირობა და თავდადებაც გაუგონარია.

ამ ლაშქრობების შესახებ ანატოლი ბუკრეევი აქვეყნებდა წერილებსა და ფოტოებს არა მხოლოდ ყაზახეთში, არამედ ამერიკულ პრესაშიც, 1997 წლის 18 ნოემბერს კი დაბრუნდა ოკეანის გაღმიდან, სადაც დაესწრო იქ გამოქვეყნებული თავისი წიგნის („ასვლა“) პრეზენტაციას და ერთი კვირის მერე ახალი ლაშქრობისთვის კვლავ ნეპალს გადაფრინდა იმ სეზონში თავისი მეხუთე რვაათასიანზე ასასვლელად, რაც საბედისწერო აღმოჩნდა.

## ბოლო მიზანი

იმ საბედისწერო, ყაზახეთ-იტალიის ექსპედიციაში ანატოლი ბუკრეევის ფანტაზია დედამიწის თოთხმეტიდან ერთ-ერთ რვაათასიან მწვერვალს ანაპურნას მისწვდა. იქ ასვლა იტალიელ სიმონე მოროსთან ზამთარში განიზრახა. მანამდე სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელებმა ანაპურნაზე ზამთარში ასვლა ოცჯერ სცადეს, მაგრამ მიზანს [illegible] მიაღწიეს. პირველად [illegible] პარტნიორებთან ერთად შესძლო პოლონელმა ეჟი კუკუჩკამ, ვინც მწვერვალზე ჩრდილოეთიდან ფრანგი მორის ერცოგის კლასიკური მარშრუტით ავიდა. მეორედ მიზანს მიაღწია დიდი იაპონური ექსპედიციის სამმა წევრმა, რომლებმაც სამხრეთიდან კრის ბონინგტონის ექსპედიციის მიერ გაკვალული გაცილებით რთული მარშრუტი გაიარა, მაგრამ დაშვებისას ორი დაიღუპა.

ანატოლი ბუკრეევი რის ანატოლი ბუკრეევი იქნებოდა, თუ მწვერვალს უფრო რთული, მანამდე უვალი გზით არ შეუტევდა.

„ხუთ დეკემბერს 5000 მეტრის სიმაღლეზე მოწინავე საბაზო ბანაკი დავდგით, წერდა 6 დეკემბერს თავის დღიურში ანატოლი — წლეულს აქ მეტისმეტად დიდთოვლობაა. გუშინაც მოთოვა — მთელი მეტრნახევარი დადო. ახლა ისევ მოწინავე საბაზო ბანაკში ავდივართ. სამხრეთ-დასავლეთის ქედიდან მწვერვალ ფანგის გავლით გვინდა ანაპურნაზე ასვლა. ეს გზა აქამდე არავის გაუვლია. იგი კრის ბონინგტონის მარშრუტის მარცხნივ მდებარეობს. ლაშქრობის დასრულებას დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყისში ვვარაუდობთ“.

18 დეკემბერს ანატოლს დღიურში ჩაუწერია: „დღეს 1760 მეტრზე მდებარე სოფელში დასასვენებლად ჩამოვედით. ორი კვირა ნეპალისთვის უჩვეულო ავდარი იყო. იქაურობა ახალი თოვლით 3,5 მეტრის სიგრძეზე დაიფარა. კარვების თოვლიდან ამოთხრა, გვიწევდა, ორი კი სულაც დავკარგეთ. საბაზომდე გზის გატკეპნაც მოგვიხდა. ხვალ ისევ საბაზოში ავალთ, მწვერვალს კი ალბათ 16 იანვარს მივაღწევთ, 5 თებერვალს ირანში მელოდებიან, მერე ამერიკაში გადავფრინდები“.

## ტრაგედია

ტრაგედია დაახლოებით 6100 მეტრის სიმაღლეზე დატრიალდა, როცა მთამსვლელები საბაზო ბანაკში დასასვენებლად ეშვებოდნენ. იმ მომენტში ისინი რთულ მონაკვეთზე არ იყვნენ და ამიტომ თოკში ჩაუბმელად ეშვებოდნენ. სიმონე მორო ჩამორჩენოდა 200 მეტრის ქვემოთ ანატოლი ეშვებოდა, მისი მუდმივი ოპერატორი დიმიტრი სოკოლოვი კი, პირველი ეშვებოდა. სწორედ მაშინ, მოულოდნელად, დიდი სიმაღლიდან ვეება, ყინულში არეული თოვლის 800 მეტრი სიგრძის ზვავი მოწყდა და სამივე თან ჩაიყოლა.

— ზვავმა თურმე გვერდზე გამტყორცნა — იხსენებს სიმონე მორო — როცა გონს მოვეგე, ირგვლივ სამარისებურ მდუმარებას დაესადგურებინა. აღარც ანატოლი ჩანდა და აღარც დიმიტრი. ჩანდა მხოლოდ ნაზვავი და ზურგჩანთების ნაგლეჯები. ჩემდა საბედნიეროდ, ზვავმა გვერდზე გამტყორცნა, ბოლო წამს თვალი მოვკარი ანატოლის, რომელმაც თავის გადასარჩენად გვერდზე ისკუპა, მაგრამ ზვავის ძირითადი დარტყმა სწორედ ანატოლისა და დიმიტრიზე მოვიდა. მე ზვავიდან გაჭირვებით ამოვძვერი, ცალ თვალს საერთოდ ველარ ვახელდი. ორივე ხელის მყესები დამიწყდა. მეგობრებს დაახლოებით 20 წუთი ვეძებდი და ვყვიროდი, მაგრამ ამაოდ. დაშავებულს მეტი აღარ შემეძლო და საბაზოში დავეშვი, იქიდან კი კატმანდუში გადამაფრინეს.

ამის მერე საგანგებოდ ალმა-ათიდან ჩამოფრენილმა მაშველებმა შერპ მთამსვლელებთან ერთად დიდხანს ეძებეს ანატოლი ბუკრეევი და დიმიტრი სობოლევი. შვეულმფრენიდან კარგად ჩანდა ზვავის კვალი, რომლის ენაც კარვიდან 50 მეტრის დაცილებით დაშვებულიყო. მაშველთ იმედი ჰქონდათ, რომ ანატოლი ბუკრეევი ზვავს გადაურჩა. თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ მას მანამდე ათასგვარი ხიფათისგან დაუღწევია თავი, მაგრამ როცა იქ შერპებმა აალწიეს, მათ ანატოლისა და დიმიტრის ნაკვალევი ველარსად აღმოაჩინეს და იმედიც ყველას სამუდამოდ გადაეწურა. ბოლოს, გადაწყვიტეს, თუ გვამებს ვიპოვით, სობოლევის ცხედარს ბარად ჩამოვასვენებთ, ბუკრეევისას კი დაღუპვის ადგილზე დავასვენებთ. ანაპურნასთან ახლოს აღმართული ფანგის ციცაბო ფერდობი დაღუპულისთვის ლამაზი „საფლავის ქვა“ იქნებაო.

სამწუხაროდ, მაშველებმა ველარც გვამებს მიაგნეს.

**ავთანდილ ბურასაშვილი**



სიმონე მორო და ანატოლი ბუკრეევი

მძლეოსნობა



„ოქროს ლიგის“ შარშანდელი გამარჯვებულები: გაბრიელა საბო და უილსონ კიპკეტერი



50 კილო ოქროსთვის ბრძოლა დღეს ცნობილი „სტად ფრანსედან“ დაიწყება

# ოქროსმაძიებელნი პარიზში შეერთდნენ

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ბევრისმნახველ „სტად დე ფრანსზე“ დღეს „ოქროს ლიგად“ წოდებული, მძლეოსანთა უპრესტიჟულესი შვიდშეჯიბრა ტურნირი იწყება. ორი წლით წინათ აწ განსვენებული პრიმო ნებიოლოსგან ჩასახული იდეა არსებობას განაგრძობს, თუმცა რიგით მესამე გათამაშების ერთი მნიშვნელოვანი სიახლე საპრიზო ჯეკ პოტის შემცირება გახლავთ. ნებიოლოს ხანაში არსებული ზუსტად მილიონი ამერიკული დოლარი, წლეულს ორმოცდაათმა კილო ოქრომ შეცვალა, რაც იმავე დოლარებში გადაყვანილი მილიონის ნახევარია მხოლოდ. სამაგიეროდ, ისიც შევნიშნოთ, რომ სპორტსმენს ჯეკ პოტის დასაუფლებლად ლიგის არა შვიდივე, არამედ ხუთი ეტაპის მოგება ევალება, რაც ჯეკ პოტის უფრო სახალხოდ განაწილების ალბათობას ზრდის და კიდევ ერთი: ცალკეა ბევრად მცირე თანხით გამოხატული პრიზები კონკრეტული ეტაპების არა მარტო მოგების, არამედ მონაწილეობისთვისაც. ვის რამდენი ერგება და კიდევ სხვა მონაცემებს წერილის ბოლოს გამცნობთ, ისინი თქვენთვის საინტერესო გვეჩვენა, ისევე როგორც „ოქროს ლიგის“ რეგლამენტის მცირე განხილვა.

ტურნირის პირველი ეტაპი, როგორც ითქვა, პარიზში, სენ დენის „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება. გაივლის ერთი კვირა და 30 ივნისს რომი უმასპინძლებს მძლეოსნებს. თითქმის ერთი თვის შემდეგ კი იტალიის დედაქალაქს ოსლო მოჰყვება. დაბოლოს, 11 აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე თითოკვირიანი ინტერვალებით ციურიხს, მონაკოს, ბრიუსელსა და ბერლინს ეწვევიან მძლეოსნები. ყველა ამ ამბისთვის მაინცდამაინც პარასკევი დღეებია შერჩეული და ცოტა გაუგებარია, ორგანიზატორებმა რატომ არ ამჯობინეს უქმეები, მაშინ ხომ მეტი მაყურებელი ეყოლებოდათ. თუმცა იმათ თავიანთი საქმე უკეთ იციან და ჩვენ ახლა სხვაზე ვთქვათ. კერძოდ კი იმაზე, რომ „სტად დე ფრანსზე“ მისული მაყურებელი დიდი ოდენობით სახელოვან ხალხს იხილავს და ბილეთში დახარჯულ ფულს არ დაინანებს. ყველა სამძლეოსნო სარბიელზე როდი შენიშნავს კაცი ერთად თავმოყრილ ატლანტის ოლიმპიადის 8 ჩემპიონს, სევილიის მსოფლიოს პირველობის 16 გამარჯვებულს და ცხრასაც მსოფლიო რეკორდსმენს. ამ ხალხის სიასაც ბოლოს იხილავთ. იქ ვერ შეამჩნევთ „ოქროს ლიგის“ შარშანდელ ტრიუმფატორს, რუმინელ გაბრიელა საბოს, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადა უფრო ღირსეულად მიიჩნია და ლიგაში ორი ეტაპის გამოტოვება გადაწყვიტა. აქ სხვა რამეც ჩანს — საბო, ეტყობა, დარწმუნებულია, რომ ბოლო ხუთივე ეტაპს უეჭველად მოიგებს და რაღად ირბინოს შვიდი, თუკი ჯეკ პოტის მოწილეობას ხუთიც ყოფნის. პარიზში სავარაუდოდ არ იქნება მარიონ ჯონსი და არც მისი პირველი ნახევარი, ბირთვის მკვრელი სი ჯეი ჰანტერი. ჯონსი სიგრძეზე ხტომას მისცემია მთელი არსებით (სიდნეის ოქრო უნდა), ხოლო ჰანტერმა ამას წინათ ამერიკულ რელეიში ბირთვი დიდებულად კი ჰკრა, მაგრამ საფრანგეთს შტატებში მესამედ გამწესებული ჯონ გოდინა წავა.

დავით გულუა

### „ოქროს ლიგის“ პროგრამა

*კაცები.* რბენა — 100 მ; 1500 მ; 3000 მ/5000 მ; 400 მ წინაღობებით; სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა, ბირთვის კვრა.

*ქალები.* რბენა — 100 მ; 1500 მ; 100 მ წინაღობებით; სიგრძეზე ხტომა; შუბის ტყორცნა.

*შენიშვნა: „ოქროს ლიგის“ თითოეულ ეტაპს ხუთი-ექვსი სხვა დისციპლინაც დაემატება.*

### საპრიზოები

| ადგილი | ძირითადი | დამატებითი |
|---|---|---|
| I | 15 000 ევრო | 7500 ევრო |
| II | 10 000 | 5 000 |
| III | 5 000 | 2 500 |
| IV | 3 000 | 1 500 |
| V | 2 500 | 1 250 |
| VI | 2 000 | 1 000 |
| VII | 1 500 | 750 |
| VIII | 1 000 | 500 |

### პარიზის ეტაპის ტიტულოვანნი

**ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონები (1996)**

| | | |
|---|---|---|
| ჩარლზ ოსტინი | აშშ | სიმაღლეზე ხტომა |
| ბრუნი სურინი | კანადა | 4X100მ |
| გეილ დივერსი | აშშ | 100მ — 4X100მ |
| სვეტლანა მასტერკოვა | რუსეთი | 800მ და 1500მ |
| ფერნანდა რიბეირო | პორტუგალია | 10 000მ |
| დეონ ჰემინგსი | იამაიკა | 400მ წინაღობებით |
| კრისტი შიტი | აშშ | 4X100მ |
| ჯეირლ მაილს-კლარკი | აშშ | 4X100მ |

**სევილიის მსოფლიო ჩემპიონატის ჩემპიონები (1999)**

| | | |
|---|---|---|
| ჰიშამ ელ-გურუჯი | მაროკო | 1500მ |
| ფაბრიციო მორი | იტალია | 400მ წინაღობებით |
| ვიაჩესლავ ვორონინი | რუსეთი | სიმაღლეზე ხტომა |
| მაქსიმ ტარასოვი | რუსეთი | ჭოკით ხტომა |
| ტიმ მონტგომერი | აშშ | 4X100მ |
| ბრაიან ლუისი | აშშ | 4X100მ |
| კეტი ფრიმენი | ავსტრალია | 400მ |
| ლუდმილა ფორმანოვა | ჩეხეთი | 800მ |
| სვეტლანა მასტერკოვა | რუსეთი | 1500მ |
| გეილ დივერსი | აშშ | 100მ წინაღობებით |
| დაიმი პერნია | კუბა | 400მ წინაღობებით |
| ნიურკა მონტალვო | ესპანეთი | სიგრძეზე ხტომა |
| მირელა მანჯანი-ძელილი | საბერძნეთი | შუბის ტყორცნა |
| სავათედა ფაინსი | ბაჰამის კუნძულები | 4X100მ |
| ანუკ ბარბერი | საფრანგეთი | შვიდჭიდი |

**მსოფლიოს რეკორდსმენები**

| | | |
|---|---|---|
| ჰიშამ ელ-გურუჯი | მაროკო | 1500მ, 1 მილი, 2000მ |
| დანიელ კომენი | კენია | 2 მილი, 3000მ |
| ბერნარდ ბარმასაი | კენია | 3000მ წინაღობებით |
| დენის მიჩელი | აშშ | 4X100მ |
| სვეტლანა მასტერკოვა | რუსეთი | 1000მ, 1 მილი |
| სონია ოსალივანი | ირლანდია | 2000მ, 3000მ |
| ტეგლა ლორუპე | კენია | მარათონი |
| კიმ ბატენი | აშშ | 400მ წინაღობებით |

მშვილდოსნობა

# ხათუნამ უხათუნობით იზარალა

ამ დღეებში ანთალიამ მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა თურქეთში ამერიკიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ხათუნა ქვრივიშვილის გაგზავნა უფულობის გამო ვერ მოახერხა. ქვრივიშვილის წაუსვლელობამ ხათუნა ფუტკარაძეც აზარალა. როგორც წესი, პლეი ოფს ოცდამეთორმეტედფინალიდან 64 მშვილდოსანი იწყებს. ანთალიაში სულ 63 მონაწილე ქალი მოგროვდა და მედლისთვის ბრძოლაც 32-მა გააგრძელა. ფუტკარაძემ 39-ე ადგილი დაიკავა და ტურნირსაც გამოეთიშა. ასე დააკლდა მედლის ერთ-ერთი კანდიდატი ქვრივიშვილი ტურნირსაც და გუნდსაც.

ფუტკარაძეზე უკეთესი მიზანი აღმოაჩნდათ ასმათ დიასამიძეს და ოლგა ლადიგინას, რომლებიც პლეი ოფში კი გავიდნენ, მაგრამ იქ პირველივე წრეში წააგეს. დიასამიძე მე-18 ადგილზე გავიდა, ლადიგინა — 24-ზე.

ანთალიაში სამი ოლიმპიური ლიცენზიაც გათამაშდა. უსაგზუროდ დარჩენილთა ჩათვლაში დიასამიძემ მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ სეოკ-ში საერთაშორისო ფედერაციიდან ფაქსი მოვიდა, რომელშიც ოლიმპიადაზე გუნდურ შეჯიბრში გამოსვლის უფლების მოპოვებას გვილოცავდნენ და თან გვეკითხებიან, წინააღმდეგი ხომ არ ხართო. რაკი გუნდურ პირველობაში სამკაციანი ნაკრებები მონაწილეობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო ფედერაციამ „ველური ბარათის“ პრინციპით ლიცენზია დიასამიძესაც უწყალობა. ერთი შეხედვით, ყველაფერი ცხადია და გარკვეული, თუმცა გვაეჭვებს იმ ფაქსის ბოლო ფრაზა, ყველაფერი ივლისის შუა რიცხვებში გაირკვევაო.

ბოლოს გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონი თურქეთის სახელით მოასპარეზე ნატო ნასარიძე გახდა.

ირაკლი თავაძე

კრივი

# ტაისონმა ინგლისელები დიდ ფულში გადააგდო

გუშინწინ მაიკ ტაისონი ლონდონიდან გლაზგოში დიდი მოწიწებით ჩააბრძანეს. პოლიციის ესკორტმა და აეროპორტის კუთვნილმა ავტოებმა მოკრივის ორი „რეინჯ როვერსისკენ“ მიმავალი ყველა გზა ჩაგმანეს. გამჭვარტულივით შავი მინები ჰქონდათ. ამიტომ ტაისონი ლონდონში ვერავინ ნახა. შემდეგ იყო გლაზგო, აეროპორტის გასასვლელთან შეკრებილი ჟურნალისტები და ათობით ცნობისმოყვარე. საყოველთაო კეთილგანწყობის მიუხედავად, ტაისონმა მასმედიას სიტყვა არ აღირსა და სავარჯიშოდ გასწია, სადაც უსიამოვნო ამბავი მიუტანეს, გიჩივიანო. ტაისონს ვინ არ უჩივის, გაუპატიურებულებით დაწყებული და იმათი დამცველებით დამთავრებული, მაგრამ ეს საჩივარი განსხვავებული იყო: ლონდონური ფირმა „გრაფ დაიემონდსი“ ჯერ კიდევ იანვარში ნაყიდი ძვირფასეულობისთვის ტაისონისგან არგადახდილ 630 ათას დოლარს ითხოვს. საქმის ვითარებას ფირმის მმართველი დირექტორი აღწერს: „ა.წ. იანვარში მისტერ მაიკ ტაისონი ბონდ სტრიტზე არსებულ ჩვენს მაღაზიაში მისტერ ფრენკ უორენის თანხლებით შემოვიდა (უორენი ტაისონ-სავარეზეს ბრძოლის პრომოუტერია) და იყიდა ძვირფასეულობა ექვსას ოცდაათი ათასი დოლარის საერთო ღირებულებით. ახლა ტაისონი ამბობს, უორენს უნდა გადაეხადაო, უორენი — პირიქით. ჩვენ ერთი რამ ვიცით: იმ ათასებიდან პენსიც არ გვინახავს. ახლა სასამართლოს მივმართეთ და მისი იმედი გვაქვს.“

უსიამოვნო ისტორიაა, მაგრამ მასმედიისთვის ერთობ საამო. ჟურნალისტებმა სხვა ამბებიც გამოარკვიეს, კერძოდ ის, რომ ვინც გაბედა და ტაისონს ფული მოსთხოვა, კარგ დღეში სულაც არ აღმოჩნდა — მოკრივე მათ თავისებურად ეუხეშა, ხოლო ფრენკ უორენის ოფისში მისულები ყოველგვარი კომენტარის გარეშე გამოუსტუმრებიათ. იმასაც ამბობენ, ბრილიანტების გამო ტაისონსა და უორენს შორის შავმა კატამ გაირბინაო, მაგრამ ის უეჭველია, რომ შაბათს გლაზგოში ტაისონ-სავარეზეს ჩხუბი შედგება, მერე კი ვნახოთ, სასამართლოებში წოწიალი ხომ ტაისონისთვის უკვე შეჩვეული ჭირია.



მაიკ ტაისონი: გამარჯობათ, გლაზგოელებო!

აფროსნობა



ნიუპორტს მეორეკლასელებიც უახლოვდებიან

# მეორე კლასის ამბები

პირველი კლასის ტრიმარანებიდან უკანასკნელი ნიუპორტის ციცქნა ყურეში იქაური დროით გუშინ ნაშუადღევს შეჩანჩალდა. ბოლო სიტყვა გადაჭარბებული არ გვეჩვენება, რადგან ფრანგი ივან ბურგონის ტრიმარანს არა მხოლოდ კოლეგებმა გაუსწრეს, არამედ რამდენიმე ცალკორპუსიანმა იახტამაც მასზე ადრე უწია ფინიშს. ამის მიზეზი გატეხილი ანძა გახლავთ და ბურგონმა საერთოდ უწია ნიუპორტს, ესეც გასაკვირია. ცალკორპუსიანი პირველი კლასის იახტებში მეექვსე ადგილი ფრანგმა ქალმა, კატერინა შაბომ დაიკავა, მეშვიდეც ფრანგმა, მიშელ დეჟუაიემ, ხოლო კიდევ ექვსი მათი მეტოქე ჯერაც ოკეანეშია, თუმცა ჩვენ ახლა იმ მაჩანჩალებზე კი არა, მეორე კლასის მოწინავეებზე ვთქვათ. 45-დან 50 ფუტი სიგრძის (13,72-15,24მ) 2 ტრიმარანი და 6 ცალკორპუსიანი იახტა ნიუპორტს მიუახლოვდა. ტრიმარანებში მესამე პრიზიორი არ იქნება, მაგრამ პირველობისთვის ბრძოლა ჯერაც კულმინაციურ ფაზაშია. ფინიშამდე 250 მილია, ამ დროს კი ერვე კლერის „ტენ ბოუნ ლეზ ანფანი“ მხოლოდ 12 მილით უსწრებს ფრანკ ივ ესკოს „დელიაჟს“. არც ცალკორპუსიანებშია რამე გარკვეული. 6 იახტიდან პირველობისთვის იბრძვიან იტალიელი ანდრეა განსია, ბრიტანელი ალექს ტომპსონი და ელენ მაკარტურის მეგობარი ემა რიჩარდსი. განსია ცოტა წინაა, ბრიტანელები კი გუშინ მეტრებისთვის იბრძოდნენ. ბოლო მონაცემით, მანდილოსანი კილომეტრის მეხუთედით ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ უფრო ჩქარა მოძრაობდა და ამ წუთისთვის იქნებ გაასწრო კიდეც.

დავით გულუა



ანა კურნიკოვა

# შენ შეგყურებს ციდაა თუ დიდია

**ისტბორნი. ინგლისი. „DIRECT LINE“-ის პირველობა. ბალახი. საპრიზო 520 ათასი $**

ინგლისის ზღვისპირა კურორტ-ქალაქი ისტბორნი ამ დღეებში ანა კურნიკოვას პატარა კერძო სამთავროს დაემსგავსა — ყველას სურს, თვალი შეავლოს სპორტის სექსსიმბოლოს, მერე კი მის პირად ცხოვრებაზე თუ გარეგნობაზე მეზობლებთან წაიჭორაოს. არცთუ პრესტიჟულ ბალახის ტურნირზე ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების არნახული სიმრავლეა.

19 წლის რუსმაც არ დაალალატა მასპინძლები და არაერთი სასაუბრო თემა გაუჩინა: ტრიბუნებიდან მას, ჰოი საოცრებავ, ისევ სერგეი ფიოდოროვი გულშემატკივრობს, ლამის თითოეულ ქუჩაზე კი მისი ნახევრადშიშველი უზარმაზარი პლაკატია გამოფენილი სპორტული ბიუსტჰალტერების შეძენის მოწოდებით.

მერვედფინალში ანას მეტოქე მისივე მეწყვილე და ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ნატაშა ზვერევა გახლდათ. რუსის კორტზე გასვლა იყო და მუშებმა, რომლებიც ტრიბუნებიდან ორიოდ ნაბიჯზე სახლის მშენებლობაზე მუშაობდნენ და მანამდე ინსტრუმენტების რახარუხით აყრუებდნენ იქაურობას, მაშინვე შეწყვიტეს მუშაობა. ხარაჩოებზე მატჩის საცქერად წამოსკუპებული პროლეტარიატის რაოდენობა რამდენიმე გეიმის მერე ლამის გაორმაგდა.

კურნიკოვამ მატჩი ორმაგი შეცდომით დაიწყო, მაგრამ აქედან მოყოლებული თავის ქომაგებს თვალებზე ხელის აფარების მიზეზი თითქმის აღარ მისცა. ტურნირზე მეოთხედ განთესილმა რუსმა გამოცდილი მეტოქე განსაკუთრებით სტაბილურობასა და სისწრაფეში დაჩაგრა და მოწოდების რამდენჯერმე დაკარგვის მიუხედავად, დამაჯერებლად იმარჯვა — 6:3, 6:1.

„ბალახი ჩემი საყვარელი საფარია. ნატაშასთან თავიდანვე შეხვედრა ცოტა უსიამოვნო იყო, თუმცა ამოცანას არცთუ ურიგოდ გავართვი თავი. კოჭი უკვე ნაკლებად მაწუხებს. მასზე არც მიფიქრია, სანამ მეორე სეტში ფეხი არ დამიცურდა“ — აღნიშნა რუსმა.

კურნიკოვას მწვრთნელის, ერიკ ვან ჰარპენის თქმით, მაისის დასაწყისში მიუნხენში მიღებული კოჭის ტრავმა მის შეგირდს უფრო ფსიქოლოგიურად ბოჭავს: „ანა თავს ბოლომდე ჯანმრთელად ჯერაც არ გრძნობს. მას ტრავმის გართულება არ სურს, თუმცა ამ გამარჯვებამ ცოტა კი უნდა გამოუკეთოს განწყობა.“

რუსის მატჩი დასრულდა თუ არა, მშენებლებმაც განაახლეს მუშაობა, ამიტომ მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ლინდსი დევენპორტის მატჩმა ისევ უსიამოვნო ხმაურში ჩაიარა.

უიმბლდონის ჩემპიონმა მაისში ვარჯიშის დროს ზურგის ტრავმა მიიღო და იმის შემდეგ ჩატარებულ ერთადერთ შეხვედრაში როლან გაროსის პირველ წრეში დომინიკ ვან რუსტთან წააგო.

იძულებითი შესვენების შემდეგ ამერიკელი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა (კორტზე, თორემ კარგად ისედაც არასდროს გამოიყურება) და ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილ გერმანელ იანა კანდართან დიდი ჯაფა დაადგა.

კანდარმა, რომელსაც ფეხები ყურებიდან ეწყება და მამაკაც თაყვანისმცემელთა რაოდენობით ერთ დროს კურნიკოვასაც გაუწევდა კონკურენციას, მძლავრი მოწოდებებით და ბადესთან გასვლებით ფრიად შეავიწროვა დევენპორტი.

უძლიერეს ქარში მიმდინარე მატჩის მესამე სეტში გერმანელი 4:2-ითაც დაწინაურდა, თუმცა საქმე ბოლომდე მაინც ველარ მიიყვანა და საბოლოოდ 4:6, 6:3, 4:6 წააგო.

„ზურგი სულ არ მაწუხებდა, ყველაფერი სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის ბრალია. რაც მთავარია, მომდევნო წრეში გავედი და იმედია, ამიერიდან უკეთ გავირჯები“ — განაცხადა ლინდსიმ.

დევენპორტის იმედი იმედად დარჩა: გუშინ მეოთხედფინალში მას ერთხელაც აჯობა ეკლად ამოსულმა დომინიკ ვან რუსტმა (5) 4:6, 6:2, 6:4.

მერვედფინალი: **ნატალი ტოზია** (2, საფრანგეთი) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:4, 6:2; **ვან რუსტი** — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:4; **ჟული ალარი** (6, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:4; **ამანდა კუტცერი** (3, სამხრეთ აფრიკა) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:2, 6:0; **ჩანდა რუბინი** (8, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 7:5; **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:2, 6:2.

წყვილების მერვედფინალი: **ნატალი ტოზია და აი სუგიამა** (იაპონია) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ) და მარიან დე შვარდტი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6 (7:5).

**ნოტინგემის ღია პირველობა. ინგლისი. ბალახი საპრიზო 400 ათასი $**

პირველი წრე: **არვინდ პარმარი** (ინგლისი) — სედრიკ პიოლინი (1, საფრანგეთი) 7:5, 7:6 (7:3); **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) 5:7, 6:4, 7:5; **ფაბრის სანტორო** (3, საფრანგეთი) — ჯარედ პალმერი (აშშ) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; **სებასტიან გროსჟანი** (4, საფრანგეთი) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:1, 4:6, 7:5; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — შტეფან კუბეკი (6, ავსტრია) 3:6, 7:6 (7:5), 6:3; **უეინ ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) — მარკ როსე (5, შვეიცარია) 6:1, 6:2.

# უიმბლდონს პირსიც ემდურის

**უიმბლდონის** ორგანიზატორებს კარგად დაფიქრება და პოლიტიკის შეცვლა მართებთ — ორიოდ კვირა გავიდა ანდრეი მედვედევის თავდასხმის შემდეგ და ბალახის დიდი სლემის ტურნირის წინაალმდეგ ახლა როლან გაროსის ჩემპიონმა მარი პირსმა გაილაშქრა.

„უიმბლდონზე მოთამაშეებს მაინცდამაინც კარგად არ ეპყრობიან. ტრანსპორტი ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს, მათ არ სურთ, აეროპორტში დაგვხვდნენ. ბევრი რამის გამო უიმბლდონი გამორჩეული და განსხვავებულია სხვა „მეიჯორებისგან“, აქ თამაშს მოუთმენლად სულაც არ ველი და გაცილებით ნაკლებ სიამოვნებასაც ვღებულობ“ — განუცხადა ჟურნალ „რედიო ტაიმსს“ საფრანგეთის ახალმა კერპმა.

„არ ვიცი, ეს სნობიზმის ბრალია თუ სულელური წესების, მაგრამ უიმბლდონი სწორედ ასეთია. ჩემი საყვარელი ტურნირი ავსტრალიის ღია პირველობაა. ხალხი იქ მეგობრულადაა განწყობილი და პირობებიც უკეთესია“.

შეგახსენებთ, რომ ინგლისელებს პირველად არ უხდებათ კრიტიკის მოგერიება. შარშან მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ჯიმ კურიემ უიმბლდონის სამედიცინო სამსახურს წინაისტორიულ დონეზე მყოფი უწოდა, ანდრეი მედვედევმა კი სულაც განაცხადა, აქ მოთამაშეებს ისე გვეპყრობიან, როგორც ნაგავსო.

„ოლ ინგლენდ კლაბი ძალიან წუხს ასეთი კომენტარების გამო. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მოთამაშეებმა ჩვენთან კარგად იგრძნონ თავი — აღნიშნა უიმბლდონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა — ჩოგბურთელებს აეროპორტიდან ტაქსის საფასურ 60 დოლარს ვუნაზღაურებთ და ტურნირის მანძილზე მანქანაც ემსახურებათ“.

თუმცა კლუბის თავჯდომარე ტიმ ფილიპსს, მედვედევისგან განსხვავებით, პირსთან ჭიქა ჩაიზე გასაუბრების სურვილი რატომღაც არ გამოუთქვამს.

აი, სულელი.

**ავთანდილ სვანიძე**



მარი პირსი

# შვეიცარიელს შვეიცარია, ლატვიელს ბიჭი

**დასრულდა** „შვეიცარიის ტური“, რომელზე თხრობაც წინა კვირას გავწყვიტეთ. ამ ხნის მანძილზე შვიდი ეტაპი ჩატარდა და ორიოდ სიტყვით ყველაზე გიამბობთ. მაშ ასე, ეტაპი მეოთხე.

ფრაიბურგიდან ვერბიემდე ყველას 36 წლის ფრანგმა პასკალ ერვემ აჯობა. ეტაპი მთიანი გახლდათ, ამიტომაც შეტევები მრავლად იყო. ერთ-ერთი მათგანი ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე განხორციელდა. ლტოლვილთა შვიდკაციან ჯგუფში რამდენიმე სახელოვანი ველომრბოლი იყო — დიუფო, კამენზინდი, ულრიხი. მალე კი ამ ჯგუფს ერვე გამოეყო და მისმა უპირატესობამ წუთსაც გადააჭარბა, მაგრამ უკანასკნელ კილომეტრზე დანარჩენებმა შეძლეს სხვაობის შემცირება. „მოწინავეებში კი ვიყავი, მაგრამ იერიშის მიტანას არ ვაპირებდი, რათა რიშარ ვირანკისთვის წამოწევის საშუალება მიმეცა. თუმცა იგი სულ უფრო და უფრო ჩამოგვრჩებოდა და სხვას რომ არ დაესწრო, თავად გადავწყვიტე, შემეტია“ — თქვა ერვემ, რომელიც 1998 წელს „ფესტინაში“ ირიცხებოდა და „ტურ დე ფრანსზე“ ამტყდარ დოპინგ-სკანდალშიც გაეხვია. თანაგუნდელთა უმეტესობისგან განსხვავებით, მას დოპინგის მიღება არ უღიარებია და მისთვის ხელიც არავის დაუდია. ასე რომ, ერვე სასჯელს გადარჩა, ფესტინელთა უმრავლესობას კი სხვადასხვა დროით (6 თვიდან წლამდე) აუკრძალეს რბოლებში მონაწილეობა. ჰოდა, ადგა ეს ჩვენი პასკალ ერვე ცოტნე დადიანივით და, როგორც ჩემი მეგობრები იტანჯებიან, მეც ისე უნდა დავიტანჯოო, გადაწყვიტა და ექვსი თვით ნებაყოფლობითი დისკვალიფიკაცია „გამოიწერა“. ნამდვილად სასახელო საქმეა.

შაბათს მეხუთე ეტაპი, ინდივიდუალური რბოლა მოეწყო და უეჭველი იყო, ერვეს წინადღით მოპოვებულ ყვითელ მაისურას აღარავინ დაუტოვებდა. ასეც მოხდა. „ჩემი მიზანი საერთო ჩათვლაში ლიდერობის მოპოვებაა“ — თქვა რბოლამდე ულრიხმა და აასრულა კიდეც სიტყვა. ეტაპი კი ლატვიელმა ბელოვოსიკსმა მოიგო და მაშინვე შინ გაფრინდა. ამის მიზეზიც ჰქონდა — „ლამპრეს“ წევრი წინადღეს მამა გახდა და ცოლ-შვილის ნახვა სწყუროდა.

კვირას პელოტონმა სამხრეთ შვეიცარიაში ულრიხენს დაარტყა წრე. გზა საკმაოდ მთაგორიანი იყო და ეტაპიც კარგი სანახავი გამოდგა. ძალიან აქტიურობდა წლევანდელი „ჯიროს“ მოგები სტეფანო გარძელი და დღის პირველი ორი სიძნელეც პირველმა დასძლია. არადა, ორიოდ დღის წინ იგი მოიწამლა და მუცლის ისეთი გვრემა ჰქონდა, შეჯიბრის გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა. დაღმართებზე გარძელი უპირატესობას ველარ ინარჩუნებდა ხოლმე და ბოლო აღმართს რამდენიმე სხვა მრბოლთან ერთად მიადგა. ლა ფურკას მწვერვალამდე 6 კილომეტრით ადრე ბელის, მაძოლენის და ფრიგოს ტრიო დანარჩენებს დაშორდა. დაშვებისას ფრიგო ჩამორჩა, მაგრამ თანაგუნდელი ბელი დაელოდა, ამიტომ სამეულს პელოტონთან მოპოვებული უპირატესობა შემოადნა. შედეგად მაძოლენიმ ულრიხს ყვითელი მაისურა ვერ გახადა. „პოლტის“ წევრმა მხოლოდ ეტაპის მოგებით დაიმშვიდა თავი.

მეშვიდე ეტაპი ისევ იტალიელი სპორტსმენის გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად მარკო ფინკატომ ისახელა თავი, საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი იან ულრიხმა შეინარჩუნა. უკვე 34-ე კილომეტრზე ცამეტკაციანი ჯგუფი პელოტონს მოწყდა. ამ ცამეტეულში იყვნენ მიკელე ბარტოლი და მარკუს ზბერგი და პირველობასაც მათგან ელოდნენ. ლტოლვილების უპირატესობამ სამ წუთს რომ გადააჭარბა, მაშინღა გამოიღო ხელი პელოტონმა. ინიციატივა „პოლტისგან“ მოდიოდა, რომელიც საერთო ჩათვლაში მაძოლენის მეორე ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ულრიხის „ტელეკომი“ კი საკმაოდ ინერტულად ირჯებოდა. დაწინაურებულებმაც მოუმატეს სიჩქარეს, რამაც ისინი შუაზე გაყო. ტემპს მხოლოდ ექვსმა კაცმა გაუძლო. ფინიშამდე 35 კილომეტრით ადრე ფინკატო სხვებს გაექცა და აზლოს აღარავინ გაიკარა. „მშვენიერ ფორმაში ვარ. დანარჩენ ეტაპებზე ბელისა და ფრიგოს დავეხმარები“ — თქვა „ფასა ბორტოლოს“ გრეგარმა.



ოსკარ კამენზინდი

სტეფანო გარძელიმ მაინც მოახერხა ეტაპის მოგება და ეს სამშაბათს შეძლო. ყვითელ მაისურას კი შვეიცარიელი ოსკარ კამენზინდი დაეუფლა და ბოლომდეც შეინარჩუნა. მერვე ეტაპი მეტად რთული იყო. პელოტონი უამრავ ნაწილად დაიშალა მთებში, ფინიშამდე ორიოდ კილომეტრით ადრე კი აღმართების მოყვარულ მრბოლთა უმეტესობამ ერთიანი მოწინავე ჯგუფი შექმნა, რომელშიც ულრიხი არ იყო. ამ ჯგუფიდან ყველაზე კარგად სპრინტში გარძელი გამოვიდა. ულრიხმა საერთო ჩათვლაში ლიდერობის დაკარგვა იოლად გადაიტანა: „არ მინდოდა, ჩემს თანაგუნდელებს და მეც „ტურ დე ფრანსის“ წინ ზედმეტი ძალები დაგვეხარჯა“ — თქვა მან ფინიშზე.

მეცხრე ეტაპი ტაქტიკური ბრძოლით გამოირჩა. კამენზინდი და მისი ორი უახლოესი მდევარი, ბელი და ფრიგო ერთმანეთს მეთვალყურეობდნენ. ფინიშამდე ექვსი კილომეტრი რჩებოდა, როცა ფრიგომ შეტევა წამოიწყო, თუმცა ერთგული თანაგუნდელი ჯილბერტო სიმონის დახმარებით კამენზინდმა მეტოქეს გაქცევის საშუალება არ მისცა. „ლამპრეს“ სხვა წევრებმაც საკმაო დახმარება აღმოუჩინეს თავიანთ ლიდერს და ბოლო ეტაპის წინ ყვითელი მაისურა შეუნარჩუნეს. წინ წასული მრბოლების პელოტონთან და ლიდერებთან უპირატესობამ ერთხანს 10 წუთსაც უწია, მაგრამ მათ დასაწევად თავი არავინ აიტკივა და ფრანჩესკო სეჩიარიმაც იხეირა.

უკანასკნელი, მეათე ეტაპი „მაპეის“ წევრმა სტეფანო ძანინიმ მოიგო. პელოტონი თავიდან მეტად ზანტად მიდიოდა. მის სიმშვიდეს რუსი ალექსანდრ ვინოკუროვი არღვევდა ხოლმე, მაგრამ სლავის შეტევებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. 62-ე კილომეტრზე კი ხუთკაციანი ჯგუფი დაწინაურდა. ფინიშამდე 50 კმ-ით ადრე ხუთეულის უპირატესობამ 12 წუთს უწია. ამის მერე ამ სხვაობამ შემცირება კი იწყო, მაგრამ მხოლოდ 7 წუთსა და 31 წამამდე დავიდა. სპრინტში, როგორც უკვე ვთქვით, ძანინიმ იმარჯვა. ფრიგომ და ბელიმ გადაწყვიტეს, კამენზინდისთვის აღარ შეეტიათ და თავისი ქვეყნის უმთავრესი ტურნირი მშვიდად მოაგებინეს.

**გაიოზ თალაქვაძე**

**შვეიცარიის ტური**

**საერთო ჩათვლა**

1. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) — 34 სთ 01 წთ 05 წმ
2. დარიო ფრიგო (იტალია) — + 14 წმ
3. ვლადიმირ ბელი (იტალია) — + 26
4. სვენ მონტგომერი (შვეიცარია) — + 1 წთ 42
5. იან ულრიხი (გერმანია) — + 2 წთ 07

## ბელგრადის ქუჩებში...

...არეულობაა, ოღონდ იუგოსლავიის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩს შეუძლია არ ინერვიულოს: სერბებმა სამიოდე კვირით პოლიტიკას ფეხბურთი ანაცვალეს და თავიანთი გუნდის მეოთხედფინალში გასვლას ანთებული მაშხალებით აღნიშნავენ. ასობით ამგვარი მოტოციკლი დაჰქროდა ბელგრადის ქუჩებში ქრისტეშობიდან 2000 წლის 21 ივნისის საღამოს.



## შინისაკენ ჰერი...ჰერი!

გერმანელები ევრო 2000-დან აიბარგნენ... აი, დარიუშ ვოში თავის ზორბა ჩემოდნებს მოსჭიდებია და იმ ჰოლანდიურ სასტუმროს ტოვებს, სადაც ივლისის დამდეგამდე მაინც სურდა დარჩენა. რა ვუყოთ, სხვაც ბევრია ამ დღეში.





## მომღერალი

„ოო, სოოლე მიიოოო!“ — ეს გოგონა „ლა სკალაში“ ივარჯებდა, მაგრამ რა დროს „ლა სკალაა“, იუგოსლავია მეოთხედფინალში გავიდა, ამიტომ მთელი მისი ენერგია სიხარულის გამოსახატავად მიმართულა. რაღაც-რაღაცეები მომავალშიც მოხდება, ამიტომ მომღერალ გოგონას ძალთა დაზოგვას ვურჩევდით.

## გულდალახვრული

პიტერ შმაიხელი თავის დაბდურა მცველებს გაებუტა, აბრეშუმის ჭიასავით ბადეში გახვეულა და გამოსვლას აღარ აპირებს. ევრო 2000-ზე სამ თამაშში რვა გოლის გაშვება გასაჭაღარავებლად კარგი საბაბია, ოღონდ დანიელის თმები ბუნებრივადაც თეთრი გახლავთ.



## ლეოს ფიქრები

„თქვენ ჯერ სულ იგებთ! — საფრანგეთთან გამარჯვებულ თავისიანებს გულში მიმართავს ტუჩებმოკუმული ლეო ვან ბეენჰაკერი — მაგრამ ეს ის ჰოლანდია არაა, ადრე რომ მინახავს; როდემდე გასტანს ასე? იქნებ ეშმაკი უკვე მეოთხედფინალში ჩაგისაფრდათ? და საერთოდ, მე ახლა ტრიბუნაზე არ უნდა ვიჯდე...“



## ალანი ავტობუსში



ალან შირერის თითების კაკუნი ვერაფერს შეცვლის: ინგლისის ნაკრებმა ევრო 2000 უსახელოდ დაასრულა და ფოტოზე იმ ავტობუსის ფანჯარა ჩანს, რომელიც შირერსა და მის თანაგუნდელებს აეროპორტისკენ მიაქანებს. ევროზე სხვები დარჩნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge